ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

№ VII—VIII

ივლისი და აგვისტო

1909

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინაარსი

## ჟურნალ „ჯეჯილისა“


I ყმაწვილების მოლხენა. ფერადი სურათი, . . . . . 2

II ჩიტი. ლექსი ლადო გეგეჭკორისა . . . . . . . . 3

III მამაცი ბავში. ფრანგულიდან ა. . . . . . . . . . 5

IV წუთი სოფელი უმადურია. ზღაპარი ბეხშტეინისა თარგმანი ან. წ. . . . . . . . . . . . . . 9

V ვასო მიხვდა—ამბავი ლადო გეგეჭკორისა . . . . . 16

VI პირუტყვთა მეფეები. ტასოსი . . . . . . . . 20

VII ქოჩა—მეჩონგურე ინგილოური ზღაპარი ჩაწერილი აპოლონ ინაშვილის მიერ . . . . . . . . . . . . 24

VIII ბახმაროზე მოგზაურობა. ივლიტა ნაკაშიძისა . . . . 30

IX როგორ უვლიდა ყმაწვილი თავის მამილოს გადმოღებული ამეჩისიდან . . . . . . . . . . . . . 38

X უცნაური ბრძოლა. (ჟურავსკისა) . . . . . . . . 48

XI სახუმარო გასართობი. იხვის თავ-გადასავალი . . . 50

XII სახუმარო გამოცანა. თეო. კ—კისა . . . . . . . 52

---

XIII დილა. ლექსი ლადო გეგეჭკორისა . . . . . . . 53

XIV რას შუის ზღვა! მოთხრობა ფედორე—დავიდოვისა თარგ. ან. წერეთლისა . . . . . . . . . . . . . 55

XV თეთრი ფინია. მოთხრ. კუპრინისა, თარგ. ეკ. მესხისა 61

XVI პურის ხე. ალექსი ჭიჭინაძისა . . . . . . . . . 78

XVII ექიმი ისააკის განსაცდელი. დასასრული თარგმანი ან. წერეთლისა . . . . . . . . . . . . . . . 82

XVIII ზღაპრული მოვლენა ბუნებაში II გმირების დამარხვა სისოევისა . . . . . . . . . . . . . 90

XIX ამოცანის ახსნა. . . . . . . . . . . . . . 92

XX ანდაზები, გამოცანები . . . . . . . . . . . 93

XXI ლეგენდა . . . . . . . . . . . . . . . . . 94




## საყმაწვილო ნახატებიანი
# ჟურნალი

იზარდე აწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. ჭ.

ივლისი და აგვისტო, 1909

**წელიწადი მეოცე**

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1909

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ჩიტი.

თავისუფლად დავფრინავ
მთა, ტყე, მინდორ-ველათა;
ჩემს მოკაზმულ სამშობლოს
თავს ვადგივარ მცველათა.
საჭმელი და სასმელი
მაბადია მრავლადა;
ღმერთი მწყალობს, ყველაფერს
მაძლევს უშრომელადა!
წარა-მარა სიმღერა,
ვიცი, აღარ შემშვენის:—
მსურს მოვფინო ცათ მიმართ
სიმღერები მოლხენის!
მოჩუხჩუხე ნაკადულს,
მის მოქარგულ ნაპირებს,—
შევუერთებ ჩემს ჭიკჭიკს
და საამო სიმღერებს.
ხან კოკობ ვარდს დავხარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვუსტვენ, ვუმღერ ტრფობითა;
მის გადაშლილ გულ-მკერდსა
ვამკობ ტკბილის ხმებითა!
ჩემს ბედს ყველა შენატრის:
„სიმდიდრე რად გვინდაო,
ნეტა მოგვცა მასავით
ჩვენ ცხოვრება წმინდაო“!
რად არ უნდა ნატრობდენ
ჩემებრ ლაღად ფრენასა,
უდარდელად ცხოვრებას,
თავისუფლად ყოფნასა?
რად არ უნდა შესთხოვდენ
ამ სიმდიდრის ზენასა?
მაგრამ თუ ეს მომისპეს,
გალიაში თუ ჩამსვეს, —
სიხარული გაჰქრება,
გულიც ფიცხლავ დაჭკნება!

**ლადო გეგეჭკორი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამაცი ბავში.

ფრანგულიდან.

სოფელ ესტაგელში, პერინიანის მახლობლად, 1793 წელს სკოლაში სწავლობდა პატარა, შვიდი წლის ვაჟი. სახელად მას ერქვა ფრანსუა არაგო. ის მთელ სასწავლებელში საუკეთესო მოწაფე იყო.

ამ დროს საფრანგეთი და ისპანია ომობდნენ. ხშირად ფრანგების ჯარი, ბუკ-ნაღარის დაკვრით გაივლიდა ხოლმე ამ სოფელზე. ერთხელ, დილა ადრიან, პატარა ფრანსუა სოფლის მოედანზე იდგა და უყურებდა, იქნება გაიარონ ჯარის-კაცებმაო. უცებ ყმაწვილმა მართლა დაინახა ჯარის კაცები — მაგრამ ეს ფრანგები არ იყვნენ, — ისპანიელთა ცხენოსნები იყვნენ.

ცხენოსნები ცდილობდნენ წყნარათ გაევლოთ, ხმაურობა არ აუტეხათ ქუჩაში და სურდათ შეეტყოთ სოფლის მდებარეობა, რომ მერე შემოეყვანათ თავიანთი ჯარი.

პატარა ფრანსუა მიხვდა რაშიაც იყო საქმე და საშინლად დაიკივლა, უნდოდა ყველასათვის გაეგებინებია, თუ რა ხდება. სოფელი ყვირილზე გამოცვივდა, აღელდა. ყველა ცდილობდა, შეიარაღებულიყო: ზოგს რა იარაღი მოჰქონდა და ზოგს რა. პატარა

არაგომაც ჩამოიღო ძველი დაჟანგული ხმალი და მის შეუმჩნევლათ დაედევნა ცხენოსნებს.

ცხენოსნებმა რა დაინახეს, რომ სოფელი ამოძრავდა, ჯერ დაიბნენ, მერმე გონზე მოვიდენ, თავის დაცვა მოინდომეს და ერთმა მათგანმა დააპირა გასროლა და მიზანში ამოიღო ფრანსუას მამა.

ბედზე გულადმა ბავშმა დაინახა ცხენოსნის მოქმედება, გაიქცა და როგორც პატარა მოხერხებული კატა, ეცა ცხენს ფეხებ შუა და მაგრად დაახალა თავისი ხმალი დამიხნებული თოფს და ამგვარად ააცდინა ტყვია მამას.

ცხენოსნებს სწრაფად შემოეხვიენ გლეხები. რადგან ისპანიელები ცოტანი იყვნენ, გლეხებმა ადვილათ ახსნეს იარაღი. პატარა ფრანსუა არაგო დიდის ამბით წაიყვანეს სახლში.

ეს მამაცი ბავში, რომელმაც გამოიჩინა ამისთანა სიყვარული თავისი სამშობლო ქვეყნისა—შემდეგში გახდა შესანიშნავი სწავლული. მან გამოიკვლია ვარსკვლავების შუქები და ელექტრონის ძალა.

ფრანსუა არაგომ ასახელა თავისი სამშობლო და მისი სახელი არასოდეს არ დაავიწყდებათ არა მარტო მის თანამემამულეებს, არამედ მთელ კაცობრიობას.

ალ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წუთი-სოფელი უმადურია!

(ბეხშტეინის ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი, მაგრამ დიდათ პატიოსანი და საქმის მოყვარე მეპურის თანაშემწე. მეპურე ეჩხუბებოდა ხოლმე ამას —ნუ აცხობ აგრე დიდრონ ლავაშებს და შოთებსო. ბოლოს ამ უმადურმა მეპურემ უთხრა მას: ჩემ სახლში მე ვარ ბატონი, გასწი, საიდანაც მოსულხარ —იქ წადიო—რა გაეწყობა! ოქვა მეპურის თანაშემწემ, შეჰკრა თავისი ბარგი და გაუდგა გზას.

გაიარა თუ არა რამდენიმე ნაბიჯი ამ მეპურემ, დაინახა რომ მობაჯბაჯებს ვიღაც სამათ მოკაკული. მეპურემ სალამი მისცა და ჰკითხა: ვინა ხარ და ან სად მიდიხარო? იმანაც უპასუხა:

— „ჩემო მეგობარო! მე ერთი უბედური ბებერი ვირი ვარ. ერთ მეწისქვილეს დიდხანს ერთგულათ და პატიოსნათ ვემსახურებოდი: ტომრებს უზიდავდი, ხორბალი მიმქონდა წისქვილზე და ფქვილი წისქვილიდან. უმოწყალოთ მცემდენ სადაც მოხვდებოდათ, და ხედავთ, როგორ უდროვოთ დავბერდი, ღონე გამომელია და ბოლოს მეწისქვილემ გამაგდო. რა გაეწყობა! ეს წუთი სოფელი უმადურია!

— მეც მაგ ტაფაში ვიწვი, უბედურო დიდ ყურავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა მეპურემ,—წავიდეთ, ერთად ვიმოგზაუროთ. მე მეპურესთან ვიყავ, შენ მეწისქვილესთან, ერთ და იმავე ადგილიდან ვყოფილვართ. ორნი რომ ვიყვეთ ერთად—ნაღველს უფრო ადვილად ავიტანთ.

ამ ამხანაგებს ორი ნაბიჯიც არ გაევლოთ ჯერ, რომ შეხვდათ ბებერი ძაღლი სულთანა, რომელიც საცოდავათ ღმუოდა. ის სიცივით კანკალებდა და სიმშილითკვდებოდა, განძრევის ილაჯი აღარ ჰქონდა. მან შეხედა ამ ორ მოგზაურს თავისი მიბნედილი, მაგრამ ლმობიერი, თვალებით.

— შენც, მგონია, ჩვენსავით ხეირში არ უნდა იყო, ჩემო ბებერო სულთანავ, აგრე გქვიან განა? ისეთი შეხედულობა გაქვს, თითქოს ახლავე გადაბრუნდები და მოკვდებიო. უთხრა მეპურემ ძაღლს.

— მიმიხვდი, აგრეც არის, დაიღმუილა ძაღლმა, —ოღონდ შიმშილით ნუ მომკლავ, ერთი ლუკმა პურის ქერქი მაინც გადმომიგდე და სხვა არა მინდა რა! მე ჩემი პატრონის სახლს დიდხანს ვდარაჯობდი, თავი არ დამიზოგნია მის გადასარჩენათ. რამდენჯერმე სიკვდილს გადავარჩინე და ავაზაკები მოვაშორე და როდესაც ხმა ჩამიწყდა ბევრი ყეფით და სიბერით კბილები ჩამემტვრა—მცემა და სახლიდან გამომაგდო. წუთი-სოფელი უმადური ყოფილა.,, შე—უბედურო" უთხრა ყმაწვილმა მეპურემ ძაღლს და გაუწვდინა პურის ნატეხი, ,,წამო შენც ჩვენთან, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედისა ვყოფილვართ". მაღლმა ჭამა, ცოტა ღონეზე მოვიდა და მგზავრებს გაჰყვა.

მიდიოდნენ სამნი ერთად, უცებ გზაზე შეამჩნიეს ვიღაც ორი მასხარა, ესენი გაკვირვებით დააცქერდენ. ერთი იყო ბებერი და კოჭლი კატა, მეორე ბებერი მამალი, რომელსაც კუდზე მხოლოდ ერთი ბუმბულიღა შერჩენოდა. ორივეს ძალიან დაღლილობა ეტყობოდათ და ძლივს ინძრეოდენ.

ერთმანერთს მიესალმენ, მერე გაკლანჭულმა და ნაღვლით დაძმარებულმა კატამ უამბო თავისი ამბავი. ჯერ ერთი-ორჯელ საცოდავათ დაიკნავლა და მერე ასე მოჰყვა: გულმოდგინეთ და თავგანწირვით ვიჭერდი თაგვებს ჩემი ქალბატონის სახლში და როდესაც ყველა თაგვები ამოვწყვიტე და მეც დავბერდი, ჩემმა ქალბატონმა გასცა ასეთი ბრძანება: კატას საჭმელათ თაგვებიც ეყოფა და ერთ ნამცეცა პურსაც კი აღარ მაწოდებდენ. როდესაც ერთხელ ჩემდა საუბედუროთ მოვინდომე რძის შეხვრეპა, ქალბატონმა შემასწრო თვალი, შეშინებულმა, ჩემდა საუბედუროთ წავკარ ქოთანს ჭოჭი და გადავაბრუნე. მაშინვე ქალბატონი გაბრაზებული მომვარდა და დამიწყო უმოწყალოთ ცემა. უთუოდ მომკლავდა თავისათვის რომ არ მეშველა. ფანჯრის შუშა გავტეხე და გავარდი ქუჩაში. წუთისოფელი საშინელი უმადური ყოფილა... ამ მწარე სიტყვებით დაამთავრა კატამ თავისი თავგადასავალი.

ამ სამწუხარო ამბავს მოჰყვა კიდევ უფრო სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხარო ამბავი მამლისა: „მე მუდამ მხიარული, ყოჩაღი, უშიშარი და ჩემი ეზოს ერთგული ვიყავი. ბოლოს ქათმები აღარ მემორჩილებოდენ, ზარმაცი მოსამსახურეები აღარ დგებოდენ ადრე — ყველა ეს მე დამაბრალეს და სახლის პატრონმა ახალი, ჯეელი მამალი იშოვა. საჭმლის გამკეთებელ



დედაკაცმა გამოაცხადა: ბებერი მამალი უნდა დავკლათ, მართალია მისი ხორცი ისეთი მაგარი იქნება, რომ კბილი არ მოეჭირება, მაგრამ წვენი მაინც მოიხარშებაო. ახლა კი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი გადამერჩინა. განაგრძო მამალმა.—ჩვენი სახლიდან რომ გამოვდიოდი შემხვდა აი ეს კატა, ჩემი მეგობარი და თანამოგზაური. ერთმანეთს შევჩივლეთ ჩვენი უბედურება და სულ ასე გავიძახოდით: ,,წუთისოფელი უმადურია''.

ამ პირუტყვების უბედურმა ხვედრმა ააღელვა კეთილი მეპურე. მან განიზრახა ყველანი თავისთან ჰყოლოდა, მათზე ეზრუნა და გამოეცადნა პირუტყვები ადამიანზე უფრო სიკეთის დამნახველნი არიან თუ არა?

რადგან წვრილი პირუტყვები ძლივს იდგენ ფეხზე—მეპურე შეეხვეწა ვირს: ,,შეისვი ძაღლი ზურგზეო'' კარგი, დაეთანხმა ვირი.—ძაღლი ხომ ისეთი მძიმე არ იქნება, როგორც სამი ტომარა დიკა, უთუოდ ერთ ტომარაზედაც სუბუქი იქნება. ძაღლი აცოცდა ვირის ზურგზე და მხიარულათ დაჰყეფა. კარგა ხანი იყო ასე მხიარულათ არ დაეყეფნა.

—ახლა შენ უნდა კატა შეისვა ზურგზე! უთხრა მეპურემ ძაღლს. ძაღლს ეს არაფრათ ეჭაშნიკა, საზოგადოთ ძაღლები არა სწყალობენ კატებს. ძაღლმა უური მოიფხანა და ბოლოს სთქვა: ,,რა გაეწყობა, შემაჯდეს ზურგზე, ხოლო კლანჭები კარგა მიმალოს.

მერე მამალმა მოინდომა კატაზე შეჯდომა. კატა თავს არიდებდა, მაგრამ მეპურემ მამალი კატას ააყვანინა. ყოველთვის ისეა, როცა მეგობრები შეთანხმდებიან, საქმე მაშინ უფრო კარგათ წავა. ვირს მიჰყავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლი, ძაღლს კატა, კატას მამალი. ამ გვარი თან-
ხმობა სწორეთ სასიამოვნო სანახავი იყო.

ჩვენ მოგზაურებს დაუდგათ ღამე. დიდი ხანი იყო შიმშილ-წყურვილი აწუხებდა მათ, მაგრამ არსად არა ჩნდა ისეთი თავშესაფარი, სადაც შესძლებოდათ მისულიყვენ და ცოტათი მაინც დანაყრებულიყვენ. გზა სულ ტყე-ტყე მიდიოდა, უცბათ კატამ ყურები აცქვიტა და შეჰყვირა: „შორიდან მესმის ხმაურობა, თითქოს სადღაც ქეიფობენო“. მაშინ ძაღლმა ჰაერი შეისუნთქა და თქვა: „ჩემამდის შემწვრის სუნიც მოდის!“ ვირმაც კვერი დაჰკრა: უსათუოდ მშვენიერი ვახშამი და მოსვენებული ბინა მოგველისო“. მამალი მაშინვე გადაფრინდა კატის ზურგიდან ხეზე და გახარებულმა, რომ შეუძლიან ყივილი, დასძახა: ყიყლიყო! მე ვხედავ სახლის ფანჯრები განათებულია, უსათუოდ იქ დიდი წვეულობა უნდა იყოს. ყიყლიყო! — „მაგას აღარა ემჯობინება რა, თქვა მეპურემ, გავწიოთ იქითკენ“. მამალი ისევ ისე შეჯდა კატის ზურგზე. ვირმა გასწია ნელის ნაბიჯით აწოწილი პირუტყვებით იმ სახლისაკენ, რომელიც დაანახვა მამალმა. ეს იყო ამ ტყის სასტუმრო, უშნო და განცალკევებული. მშიერი არ დაეძებს შნოიან სახლს, ოღონდ გაათენებინონ. სასტუმროში მართლა მეჯლისი იყო და ერთი აურ-ზაური. მელიებს ქორწილი და დიდი მხიარულობა ჰქონდათ: შემწვრები და ტკბილეულობა აუარება. ამ მოლხინე მექორწილეებს თავზარი დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცათ, როდესაც ეს მოგზაურთა უცნაური გუნდი მიუახლოვდა ამათ. ყველამ თავს უშველა, გაიქცა-გამოიქცა, ზოგი კარებიდან და ზოგი ფანჯრებიდან.

ხუთი დაუპატიჟებელი სტუმარი მოუსხდა მიტო-



ვებულ სუფრას და მოჰყვენ სმა-ჭამას, მერე წავიდ-წამოვიდენ დასაძინებლათ: მეპურე ჩაწვა სასტუმროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონის ქვეშაგებში, კატა მიწვა ბუხრის წინ, ძაღლი გაწვა შესავალ კარებში. მამალმა მოიკალათა საქათმეში, ვირი კი თავჩაქინდრული გაემგზავრა საჯინიბოს ღია კარებისაკენ. საერთოთ ყველას კმაყოფილება ეტყობოდა.

გათენებისას სასტუმროს პატრონმა მოინდომა სახლში დაბრუნება; ნელ-ნელა მიუახლოვდა სახლს, უნდა ენახა იქაურობა, მაგრამ შედგა თუ არა ფეხი ეზოში, მამალმა დაიყივლა, ღერეფანში ძაღლი ეცა ფეხებში და მწარეთ უკბინა. სახლის პატრონი შევარდა ოთახში, აქ მას ეცა აბურძგნული კატა და დაუწყო ფხაჭნა. საბრალო გავარდა ეზოში და უნდოდა საჯინიბეში დამალულიყო, მაგრამ იქ დაუხვდა ვირი, რომელმაც მიაყარა ტლინკები, გამწარებულმა სასტუმროს პატრონმა მოჰკურცხლა.

დილით მეგობრებმა უამბეს მეპურეს, თუ როგორ დაუხვდენ სასტუმროს პატრონს. მეპურემ არ მოუწონა საქციელი, რადგან ის კაცი კანონიერი პატრონი იყო ამ სასტუმროსი და გაგზავნა ძაღლი მის მოსაძებნათ.

როდესაც სასტუმროს პატრონი მოვიდა ცახცახით და კანკალით, მეპურემ თავაზიანათ ბოდიში მოითხოვა და უთხრა, რომ ცუდი განძრახვით არ მოსულან ესენი აქ და სთხოვა რომ ისევ დარჩენილიყო ამ სასტუმროს პატრონათ და გამგეთ. ამათ შემდეგი პირობა დასდეს: ესენი ყველანი აქ უნდა დაბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნავებულიყვენ, დღეის იქით ამას მელიები აღარ უნ-და შემოეშვა, რადგან მამალს არაფრად ეჭაშნიკება იმათი ნახვა. მჷმალს უნდა აქ გაცხრომით ეცხოვრა —უნდა იყივლებდა, უნდა ჩუმათ იქნებოდა. ვირის-თვისაც უნდა საკმაოთ ყოველთვის ჩალა და თივა ყოფილიყო. კატას უნდა თაგვები და ვირთაგვები ახ-ლოს სასტუმროსთან არ მიეშვა და სამაგიეროთ თე-თრი პური და რძე ყოველ დღე ექნებოდა. ძაღლიც ნებივრათ დღითი მზეზე უნდა წოლილიყო რამდენ ხანსაც უნდოდა და ღამე შექცეულიყო მთვარესთან ბაასით. თვითონ მეპურეს ყველას მაგივრათ უნდა ემუშავნა: გამოეცხო პური, ეშველა საჭმლის გაკეთე-ბა, ბოსტნისთვის მოევლო და ესვა ლუდი.

შრომა ისე იყო წლოვანების შესაფერათ განაწი-ლებული, რომ გული არავის დააკლდებოდა და მაშინ წუთი-სოფლის უმადურობაზე აღარავინ იჩივლებდა.

**ან. წერეთლისა.**

(თარგმანი)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვასო მიხვდა.



მაისის დილა იყო. მზე ოდნავ მოსჩანდა და თავისი პირველი სხივები შორს მთებში გადაეტყორცნა. ათასფრად აყვავებული ბუნება, ამ მომხიბვლელ მაისის დილას, თვალ-წარმტაცი სანახავი იყო. წყაროს ჩხრიალი და ფრინველთა ჟივილ-ხივილი აყრუებდა არე-მარეს. სოფელში გლეხებს უკვე მუშაობა დაეწყო. ზოგი ყანას, თოხით ხელში, ჩუმად დაღიღინებდა; ზოგიც სიჩქარით მიეშურებოდა სამუშაოთ, რომ ამ გრილ დილით ესარგებლნა და, მინამ სიცხე მოაწევდა, მუყაითად წაემუშავებინა.

გლეხის გიორგის სახლიდან პატარა ვასო, რომელსაც წიგნებით სავსე ჩანთა ზურგზე მოეკიდებია, გამოვიდა და გაუდგა გზას სასწავლებლისაკენ. იგი დედამ დააპურა და დიდის დარიგებით გამოუშვა სახლიდან: —ჭკუით იყავი, შვილო; გულის-ყური მასწავლებლისაკენ იქონიეო.

მაგრამ პატარა ვასოს დედის დარიგება ჭიშკრამდე არ მიჰყოლია. მას გზაში უცდიდა მეორე მისი ამხანაგი სანდრო. ესენი შეყვარებული ამხანაგები იყვნენ და ცელქობა-თამაშობაში მათ ტოლი არ ჰყავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ. შეხვედრისათანავე უთხრა სანდრომ ვასოს: —წავიდეთ ტყეში სათამაშოთ!

— წავიდეთ,—რა გვინდა სკოლაში, განა ტყეში თამაში არ სჯობია იქ ყოფნას?— მიუგო ვასომ აღტაცებით.

ორივე ამხანაგები სტვენა-მღერით ტყისაკენ წავიდნენ, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აქ ცოტა მაღლობი ადგილი მოსძებნეს და დაიწყეს თამაში. მთელი ორი-სამი საათი თამაშობდნენ და, როდესაც მოსწყინდათ, ჩვეულებრივად ხეზე შეცოცდნენ.

* * *

ვასოს მამას გიორგის, რომელიც დილიდანვე ტყეში იყო წასული შეშის მოსაჭრელად, შვილი ეხლა სასწავლებელში ეგულებოდა და თვითონ მხიარულად მუშაობდა.

—ამ შეშას გავყიდი და აღებულ ფულით შვილს კარგად შევმოსავო,—ფიქრობდა გიორგი და მუშაობისაგან სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მაგრამ ამ დროს მას შემოესმა ტყეში ბავშვების ჭაჭანი. გულმა რაღაც აგრძნობინა და ყურადღება მიაქცია ამ ჭაჭანს. სცქვიტა ყურები და თვალი იქითკენ მიაშტერა, საიდამაც მოისმოდა პატარების გამუდმებული ჭაჭანი. შეხედა, მისი პატარა ვასო ხეზე შეცოცებულიყო და ცელქობა-თამაშობაში ატარებდა დროს გაფუჭებულ, უზნეო სანდროსთან. გულს ელდა ეცა. იფიქრა, ეხლა არაფერს ვეტყვი, არც კი ვეჩვენები ამ ტყეში და სახლში რომ მოვა, მაშინ გამოვუტყდებიო და გა-



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგრძო მუშაობა; მოსჭრა ხე, რომელმაც თხლაშანი გაიღო მიწაზე და იმის ხმამ მთელ ტყეს ჩაურბინა ბზუილით.

* * *

დიდ ხანს იცელქეს ვასომ და სანდრომ. ბოლოს ეს თამაშობაც მოსწყინდათ და, რაკი შიმშილიც იგრძნეს, სახლში წავიდენ. დედა მოეხვია ვასოს და დიდხანს კოცნიდა, მოეფერა, მოესაყვარლა და მინამ მისი ქმარი, გიორგი, მოვიდოდა, შესთავაზა საჭმელი: — ჭამე შენ გენაცვალოს დედა, ჩემო ნასწავლო, კარგო შვილო; მე შენთვის მინდა ყველაფერი, ჩემო ნუგეშო, ჩემო იმედო, — ეფერებოდა დედა თავის შვილს ვასოს და თვალები სიხარულის ცრემლებით ევსებოდა!

* * *

აგერ შუა დღეც შეიქნა. გიორგი დაღლილი დაბრუნდა სამუშაოდან. იგი ეხლა მოწყენილი იყო. წარბებ შეჭმუხვნილი იჯდა და ჯერ-ხნობით არაფერს ამბობდა.

ვასომ და დედა მისმა სადილი ტაბლაზე დაალაგეს; მოუსხდენ და შეექცეოდენ. სიჩუმე იყო მათში გამეფებული. ბოლოს დაიწყო ვასოს მამამ გიორგიმ:

— ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, რომ მამამ სოფლის კლასში მიმაბარა. მე პირველ ხანებში კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მერე გული ამიცრუვდა სწავლაზე. ეს სულ გიგას ბრალი იყო, რომელმაც მიმაჩვია ცელქობას; ტყეში დავყიალობდით იმის მაგივრად, რომ სკოლაში ვყოფილიყავით და გვესწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ დღეს მე და გიგა ტყეში რომ წავედით, თურმე მამამ გამოგვსდია და უყურებდა ჩვენს ცელქობას. იქ არაფერი უთქვამს, ჩირგვში ყოფილა მიმალული. სახლში რომ დავბრუნდი, იცოცხლე იმან მე დღე დამაყენა! მკითხა, მასწავლებელი იყო სკოლაში თუ არაო. მე ვუპასუხე იყო მეთქი და რომ შემატყო ვტყუოდი, გაბრაზებული მომვარდა საცემად, მაგრამ დედა ჩემი მომეშველა და მიხსნა.

— მე დილიდან საღამომდისინ შენთვის ვმუშაობ და შენ სწავლის მაგიერ ტყე-ღრეებში დახეტიალობ უხნეო გიგასთანო; რა გინდოდათ ტყეში, რა საქმე გქონდათ მანდ? დღეის იქით შენ გიგასთან არ დაგინახო, თორემ ულუკმა-პუროთ დაგაგდებო, —მეუბნებოდა იგი გაბრაზების კილოთი.

მახსოვს ეხლაც, თუ რა შიში ვიგრძენი მაშინ. იმ დღეს უსადილოთაც მამყოფეს. მაგრამ ამან ჩემზე გავლენა იქონია, ამ შემთხვევის შემდეგ მე გიგასთან მართლაც არ გამივლია და კარგი სწავლაც დავიწყე.

ამ სიტყვებს ყურადღებით ისმენდა ვასო და ცოტა არ იყოს წითლდებოდა კიდეც, რომ იგიც დღეს სანდროსთან ტყეში იყო და სასწავლებელი თვალითაც არ დაუნახავს.

— ეჰ! არც მე ვივლი აწი სანდროსთან, იმან მომაჩვია ცელქობას,— გაიფიქრა ვასომ და ამის შემდეგ ყოველთვის დადიოდა სკოლაში და პირველი მოწაფეც გახდა.

ლადო გეგეჭკორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირუტყვთა მეფეები

ცხელ ქვეყნებში, მაგალითათ აფრიკის უდაბნოებში, სადაც უმნო აქლემები სძოვენ ეკლიან მცენარეებს და სადაც მინდვრებში მთელი გროვაა მხდალი და წამოსადეგი არჩვებისა—ამავე ქვეყნებში სცხოვრობენ უზარმაზარი და საშიში ნადირები—ლომები. ესენი მუსრს ადენენ აქლემებს, არჩვებს და სხვა მორჩილ პირუტყვებს და იმათი ხორცით იკვებებიან. ყველა პირუტყვებს, გარდა მაგარტყავა სპილოებისა და მარტორქისა, საშინლათ ეშინიანთ ლომებისა.

მაგრამ სპილოებიც და მარტორქებიც, როდესაც პატარები არიან და ლომები მთელი გროვებათ დაეცემიან მათ, ესენიც ხდებიან მსხვერპლათ ამ სისხლთა—მწოველ პირუტყვთა ბასრი კბილებისაგან. ლომი ისეთი მძლავრი და ღონიერი მტაცებელი პირუტყვია, რომ სახელათ უწოდეს „პირუტყვთა მეფე" დასარბევათ ის გამოდის ღამ-ღამეობით. დღითი კი ბუნაგობს კლდის გამოქვაბულებში, ბუჩქნარებში და გამშრალ მდინარეების ლერწმებში. როდესაც მზე ჩავა, მწვავი სიცხე გაივლის და დადგება თბილი ღამეები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მთელ არემარეზე გაისმის ლომის საზარელი ბრდღვინვა.

ამ გულშესაზარავ ხმის გაგონებაზე ყველა პირუტყვები თრთიან, მოჰყვებიან ცახცახს და ცდილობენ მიიმალონ, თავი სადმე შეაფარონ. შინაური საქონელი მწყემსებისაგან მაგარ ბაკში შელალული შიშით აქეთ იქით აწყვეტენ თავს. ეს მარჯვე ნადირი შეუმჩნევლათ შეიპარება ღამე სოფელში, გადავა მაღალ ბაკში, მოიტაცებს ან ხბოს, ან ცხვარს, ჩასჭიდებს დავლას მაგრათ კბილებს, მერე ისევ გადმოხტება ბაკიდან თავისი ნადავლით და მიიმალება ღამის წყვდიადში. ლომი ხანდახან შეუვარდება სოფელში ზანგებს, მოსტაცებს რომელიმე შინაურ პირუტყვს და ზოგჯერ ადამიანებსაც და მსხვერპლს მიარბევინებს ბუნაგში, რომ იმითი გაამძღოს თავისი ოჯახი.

ცხელ ქვეყნებში აგრეთვე ცხოვრობს მეორე დიდი სისხლის მწოველი კატა—ვეფხი, რომელიც სიდიდით და სიმძლავრით არ ჩამოურჩება ლომს. იმაზე უფრო მარჯვეც არის და მძვინვარეც. ვეფხს უყვარს ჭაობიანი, ლერწმით მოფენილი ადგილები და იქ ნადირობს გარეულ ღორებზე და სხვა პირუტყვებზე. ის უდარაჯებს მსხვერპლს წყლის დასალევათ რომ გამოვლენ და ან მიიმალება პირუტყვებისგან გაქელილ ბილიკთან; იქიდან ნელა-ნელა მიეპარება ნიშანში ამოღებულ პირუტყვს და ერთი ნახტომით ჩაუსობს თავის ბასრ კლანჭებს და ჩასჭიდავს თავის მაგარ კბილებს. თუ

ერთხელ იგემა ლომმა და ვეფხმა ადამიანის ხორცი—მერე შეეჩვევა მასზე დაცემასა და ჭამას. სანამ ვე-





ლურები გასწყვეტენ ამისთანა ნადირს, ისინი ასობით და მეტსაც იმსხვერპლავენ ადამიანებს. ზოგიერთა ადგილებში კაცები ვერც კი ბედავენ გავლას უთოფოთ. მაგრამ ხშირად არც იარაღი იხსნის მათ ამ საშინელ ნადირთაგან, რომელთაც ჩვეულება აქვთ უკანიდან მიპარვა.

უფრო ჩრდილოეთისკენ მთებში და ტყეებში ცხოვრობს უშველებელი პირუტყვი მოწითანო დათვი, რომელიც ჩაითვლება დათვებთა შორის მეფედ. დათვები მცენარეულობასა სჭამენ, მაგრამ შინაურ პირუტყვსაც მუსრს ადენენ: ცხენებს, ძროხებს და სხვა. ზოგჯერ დათვი ადამიანებსაც იგდებს ხელთ.

სულ ჩრდილოეთისკენ, საცა ყინულებიანი ზღვაა, მის კიდეებზე და კუნძულებზე, მის მოცურავე ყინულების მთებზე—ცხოვრობს ოკეანის მეფეთა-მეფე თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვი—ყველა დათვებზე ღონიერი და დიდი. მუდმივი თოვლი და ყინულები, მკაცრი სიცივე, უბოლოვო გრძელი ღამეები და დაღვრემილი ოკეანის სასტიკი ზვირთები იმას არაფრათ მიაჩნია. გაბედულათ და თამამათ დაბაჯბაჯებს ის ყინულის მთებზე. მშვენივრათ ცურავს და ყურყუმალაობს ზღვაში და მარჯვედ იგდებს ხელში საზრდოთ ლომ-თევზას, სელაპს, ღორ-თევზას (დელფინს) და სხვა ზღვის ცხოველებს. ის თავისი ღონით, სიმძლავრით და სისუქნით მფლობელია მთელ ჩრდილოეთის პირუტყვებისა.

ამისთანა ძლევა მოსილ პირუტყვთა მფლობელს ადამიანი იმორჩილებს, შეუძლიან მისი დაშინაურება და რასაც მოინდომებს—იმას შეასწავლის. შიშის ზარდამცემნი, ძლავრნი ნადირთა მეფეები ხდებიან ბუნების მეფის-ადამიანის ხელში მორჩილნი და დამჯერნი როგორც კრავები.

ამ სისხლთ მწოველ ნადირთა გამწვრთვნელნი არიან მარჯვე, ღონიერი ახალგაზრდა კაცები, მაგრამ ხშირათ ეს გულადნი, გამბედავნი ხდებიან მსხვერპლათ თავიანთი ხელობისა—თავიანთივე გამოზრდილი პირუტყვების წყალობით.

დიდრონ მხეცებს წვრთვნას დაუწყებენ ხოლმე, როდესაც ისინი ჯერ სულ პატარები არიან და ისე ეჩვევიან თავიანთ გამზრდელებს, როგორც ძაღლი და კატა.

გაწვრთვნილ მხეცებს უჩვენებენ ხალხს ფულით ზოოლოგიურ ბაღებში,—საპირუტყვეებში.

ტასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქოსა—მეჩონგურე.

(ინგილოური ზღაპარი ჩაწერილი აპოლ. ინაშვილის მიერ.)



ერთმა დიდებულმა მეფემ სიკვდილის დროს მოიხმო თავისი სამი ვაჟი და უთხრა. „შვილებო, მე მოვკვდები და ეს სახელმწიფო თქვენ სამთავეს დაგრჩებათ. იცხოვრეთ ტკბილად, ერთმანერთის სიყვარული და გაგონება გქონდეთ.—თუ მოგინდებათ როდისმე მგზავრობა, ან ნადირობა, ყველგან შეგიძლიათ იაროთ, მხოლოდ ჩვენ სახელმწიფოს სამზღვარზედ რომ წითელი მთაა, იქ ნუ შეხვალთ. იმ მთას სულ მუდამ გზა აუქციეთ-ხოლმე! თქვენი ორი დაც პირველსავე მთხოვნელებს მიეცით.“—

ხელმწიფემ თქვენი ჭირი წაიღო. წლის თავზე მოვიდა ერთი მათხოვარა და ითხოვა მეფის ქალი. უფროსი ძმები გაჯავრდნენ, განა არ იცის ვისა თხოულობსო. უმცროს ძმას კი გულში ჰქონდა მამის ნათქვამი და უარზედ არ იყო.—მათხოვარა გამობრუნდა ცალიერი.—როცა უფროსი ძმები სანადიროდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ, ეს მათხოვარა კიდევ მოვიდა. უმცროსმა ძმამ აიყო და მიათხოვა მას ერთი და. ასევე გათხოვდა მეორე დაც,—ისიც მათხოვარამ წაიყვანა.

ერთხელ უფროსი ძმა სანადიროდ იყო დიდის ამალით. დიდხან ინადირა იმან, მაგრამ ვერაფერი ვერ მოჰკლა. ბოლოს დროს ადგა და გადავიდა წითელს მთაში. იქაც ბევრი იარა და ვერაფერი ვერ მოჰკლა. უეცრივ წინ გაურბინა მას ერთმა ირემმა. მეფე გამოუდგა მას, ბევრი სდია იმ ირემს, ასე რომ კარგად დაშორდა ამალას. ირემი შევარდა ერთ დიდ გამოქვაბულში. მეფეც თან შაჰყვა. შიგ ერთი ცხრა-თავა დევი დაჰხვდა. „რა გინდა?" ჰკითხა დევმა.—„არაფერი, აქ ერთი ირემი შემოვარდა და იმას შამოვყევიო." უპასუხა მეფემ.—„ემანდე, სად არის," უჩვენა დევმა უკანა კედლისკენ. მეფემ რომ მიიხედა, დევმა მას ერთი ისეთი ლაზათიანი სილა სტკიცა, რომ იქვე ფეხები გაიფშეკინა.

ბევრი ძებნის შემდეგ, ამალა დაბრუნდა შინ და მოახსენა, რომ მეფე დავკარგეთო. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ იმისი კვალიც ვერა ვნახეთო. ძლიერ შეწუხდნენ მეფენი.—შუალა ძმამა სთქვა, რომ ჩემი ძმა ან ცოცხალი, ან მკვდარი უთუოდ უნდა ვიპოვოო; გაიყოლია ჯარი და გაუდგა გზასა.—ბევრი ეძება მან ძმა წითელ მთაში, მაგრამ ვერ იპოვა. დაჯდა დაძმარებული მეფე ერთ ხის ძირში, ჯარიც გვერდით ახლ-და. ამ დროს მეფემ შეასწრო თვალი ერთ ირემს.

„თქვენ აქ იყავით და მე ამ გაჯავრებულს გულზედ ირემს მაინც მოვკლავ,“ ბრძანა მეფემ და გაედევნა ირემს. ირემმა ესეც იმ გამოქვაბულში შეიყვანა, და იმასაც ის დღე დაადგა რაც მის ძმას. ესეც ბევრი ეძებეს მხლებელებმა, მაგრამ ვერ იპოვეს. წელებ და-წყვეტილნი დაბრუნდნენ შინ და ყველა მოახსენეს უმ-ცროსს ძმას.

დაღონებული მეფე ჩაჯდა იარაღში და მარტოდ წავიდა ძმების საძებნელად. ნაზირ-ვეზირნი ეხვეწე-ბოდნენ, მარტო ნუ მიბრძანდები, ჩვენც გამოგყვებითო, მაგრამ მეფე უარზედ იდგა: „მე მარტომ უნდა ვი-პოვო ჩემი ძმები. თქვენ მმართვიდეთ სახელმწიფოსა. თუ წლის თავზედ ვერ მოველი, მკვდარი გეგულებო-დეთო.“ ბევრი იარა მეფემ წითელს მთაში, მაგრამ ძმები ვერ იპოვა. ბოლოს გამოვარდა ტყიდამ ერთი ირემი და დაიწყო მეფის წინ ხტომა. მეფემ მაშინვე თითზედ იკბინა, — სწორედ ეს არის ჩემი ძმების და-მღუპავიო. ირემმა ესეც იმავე გამოქვაბულში შეიყვა-ნა. დევი რომ დაინახა, მეფეს ჯავრით ტანში ჟრუა-ნტელმა დაურბინა. მანამ დევი ჰკითხავდა რასმეს, ყმაწვილმა დაარტყა ხანჯალი და მოჰკვეთა ერთი თა-ვი. მინამ დევი გონს მოვიდოდა, მეფემ მეორე თა-ვიც მოაგდებინა მას. მერე შეიბნენ დევი და მეფე. მა-ლიან მკლავიანი გამოდგა მეფე. ექვსი თავი კიდევ დააყრევინა. ცალ-თავა დევმა იგრძნო, რომ ეხლა ვე-ღარას გავაწყობო და შეეხვეწა მეფეს: „თუ ღმერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრწამს, ნუ მომკლავ და რაცა გსურს, მითხარი, მოგცემო. მეფემ უთხრა, რომ აქ ჩემი ძმები შემოვიდნენ და რა უყავიო. მაშინ დევმა უთხრა, რომ მართალია, შემოვიდნენ და დავხოცეო; მაგრამ გამიშვი და გაგიცოცხლებ იმათაო. მერე ასწავლა მეფეს, განჯინაში—ერთ კოლოფში წამალია,—მოაყარე ის წამალი და დაცოცხლდებიანო. გახარებულმა მეფემ მოკლა დევი და ძმები კი გააცოცხლა.

დაიარეს ძმებმა დევის ოთახები სულ უკანასკნელ ოთახთან რომ მივიდნენ, ცოტათი შეკრთნენ: იმ ოთახიდამ შუქი გამოდიოდა. შევიდნენ შიგ და სამი მხეთუნახავი ქალი იხილეს იქ. ამ ქალებში, რომელიც უფრო ლამაზი იყო, ძმებმა ის უმცროს ძმას არგუნეს. შემდეგ შესხდნენ გახარებულნი მეფენი ცხენებზედ შემოისვეს ცოლებიც უკან და გაუდგნენ გზას. ამათ ერთს ტრიალს მინდორში დაუღამდათ, ჩამოხტნენ, ცხენები მიუშვეს სამოვარზედ; თითონ მიდეს თავები ცოლების კალთებზედ და მიეცნენ ძილსა. ქალებსაც ჩაეძინათ. ძილში პატარა ძმის ცოლს შემოესმა ტკბილი ხმა. შეიხედა და უცხო სანახავი იხილა: ერთ სამ-ფეხ ცხენზედ იჯდა ვიღაც ჭაბუკი და ისეთი ხმით დაჰკვნესოდა ჩონგურს, რომ ადამიანს ის მშვენიერი ხმა ჟრჟოლით უვლიდა მვალ-რბილში. ამ მოჩვენებით გაბრუებული ქალი მინამ გონს მოვიდოდა ქოსა-მეჩონგურემ მოაქროლა სამ-ფეხა, აიტაცა მშვენიერი ქალი და ჭერი!.. გადიკარგა ერთ წუთას! თავის ძირს

დავარდნამ გამოაღვიძა მძინარე მეფე. ელდა ეცა ნაწყალს, საცოლე რომ ველარ ნახა ახლოს. მაშინვე მიჰხვდა-მომტაცესო.

მივიდნენ სახლში თუ არა, უფროსმა ძმებმა გადიხადეს ქორწილი. უმცროსმა ძმამ კი ჩაიცვა რკინის ქალამნები და გაუდგა გზასა, ჩემი სატრფო უნდა ვიპოვოო. იარა, იარა, ბევრი იარა. მივიდა დაღლილ-დაქანცული და ჩამოჯდა ერთ წყაროს თავზედ. დაინახა მან, რომ ერთ გოგოს ეჭირა ხელში ვერცხლის სურა და მორბოდა წყაროზედ. ყმაწვილმა მაშინვე იცნო, ეს ჩემ დას რომ გავაყოლე, სწორედ ის გოგოაო. გოგომ კი ვერ იცნო თავისი ბატონი. „გოგო, შენ გახარებას, დამალევინე წყალი!“ უთხრა მეფემ — „ვერა, გენაცვა, ქალბატონი გამირისხდება.“—„ქალბატონის სადღეგრძელოდ, მომაწოდე სურა.“ გოგომ მოაწოდა სურა. მეფემ დალია წყალი და მალვით ჩააგდო სურაში თავისი ბეჭედი

„გოგო, შე ბროგო ასატეხო, წყალი ვის დაალევინე?.. შეუტია ქალბატონმა გოგოს, რომელმაც ცოტა ყოყმანობის შემდეგ მოახსენა: „ერთმა ყმაწვილმა თქვენ გადღეგრძელათ და იმას დავალევინე“—„აი შე უმზგავსო, შენა! როგორ ვერ გიცვნია ბატონი?! ის ხომ ჩემი ძმა ყოფილა. აი მისი ბეჭედიც. გაიქე ჩქარა, აქ მოიყვანე!“ უბრძანა ქალბატონმა.

და-ძმა გადაეხვივნენ ერთმანერთს. — ყმაწვილმა შეიტყო, რომ იმისი სიძე მათხოვარა კი არა, დევების

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეფე ყოფილა.—სიძემ როცა შეიტყო თავის უმცროს ცოლის-ძმის მოსვლა, ძლიერ გაიხარა. მაგან მოძა-თხოვა და, თორემ უფროსი ძმები უარზედ იყვნენო. მერე გამოჰკითხა მას ყველაფერი და, როცა შეიტყო მისი უბედურობა, უთხრა: „არ ვიცი ვის ეყოლება შენი საყვარელი, თორემ შველით კი გიშველიდი. აი, თუ გინდა წაიყვანე რამოდენიმე დევი.“ ყმაწვილმა უარი გამოუცხადა, მარტოთი უკეთ ვიპოვნიო. რამ-დენსამე დღის შემდეგ და-ძმა გაშორდა ერთმანერთს.

(დასასრული შემდეგ)



# ბახმაროზე*) მოგზაურობა.



ღამე გადასულიყო. დილის ოთხი საათი იქნებოდა, როცა თოფ-ნაკრავივით წამოხტა ლოგინიდან პატარა ლეო, ყვირილით დაუწყო ღვიძება თავის დებს: „თინა, ლილი, ადგით ჩქარა, დაგავიწყდათ რომ დღეს ბახმაროზე უნდა ავიდეთ?“ ბავშვები ჟივილ-ხივილით წამოცვივდნენ, საჩქაროთ ჩაიცვეს, პატარა დაიასაც ჩააცვეს და გაცვივდნენ ეზოში, სადაც უკვე მოსულიყვნენ ჩალანდრები და შესდგომოდნენ ცხენების შეკაზმას. ბავშვების ყურადღება მიიქცია ერთმა პატარა ტანის ცხენმა, რომელსაც ზურგზედ კეხი ედგა და კეხს აქეთ-

*) ბახმაროს მთა მდებარეობს გურიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქით კარგი მოზრდილი ხის ყუთები იყო ჩამოკიდებული. ლეო იმ წამსვე გაჩნდა ცხენთან, დაუწყო თვალიერება და ჰკითხა ჩალანდარს: „ივანე, ამ ყუთებში უნდა ჩაგვსვა ჩვეხ? სამივე ამაში ვიქნებით?

— „არა, ჩემო ლეო, თქვენ რომ ოთხნი იყოთ, მაშინ ყველას ყუთებში ჩაგვსვამთ, მაგრამ ეხლა კი სხვაფრივ უნდა მოვიქცე—ერთს ყუთში თინას ჩავსვამ, მეორეში შენ, კეხზე კი ლილის დავსვამ.

— „რა მხიარულად ვიმგზავრებდით, რომ რუსაც ჩვენთან იყვეს, ამოიხვრით წარმოსთქვა თინამ მრიელ მოწყენით, რადგან თავის მეგობარი დაია მასთან არ იყო ამ დროს.

— „არა, მე უკეთესი მოვიფიქრე, დაიძახა ლეომ.—ივანე, მე ყუთში არ ჩავჯდები, მე შუაში დამსვი კეხზე, ერთის მხრით თინა, მეორეს მხრით ლილია და მასთან იძლენი ატამი ჩავყაროთ ყუთში, სანამ არ გაუსწორდება თინას სიმძიმეს, ჩვენც გზაში საგმლად ატმის მეტი არაფერი გვინდა.

მართლაც ლეოს რჩევა ჩინებული გამოდგა; შესრულდა ხუთი საათი, ბავშვები თავის საგმლით ჩასვეს ყუთებში, ლეო კეხზედ შესკუპდა, ლილიმ ყუთში ჩაისვა თავისი საყვარელი კატაც, რომელსაც ყველგან თავისთან ატარებდა, ჩვენც, უმფროსები, შევსხედით ცხენებზე და გაუდექით გზას. ნახევარი საათის შემდეგ კიდეც შევუდექით მთას. მშვენიერი გრილი ღრუბლიანი დღე იყო, სწორეთ ნამდვილი სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზავრო. რომ ასეთი დღე არ დაგვსწრებოდა, მრიელ შეწუხდებოდნენ ჩვენი ბავშვები. ჩვენთან ერთათ სამოცი ცხენოსანი სხვებიც იყვნენ ბახმაროზედ მიმავალნი. არ მოეწყინებოდა კაცს, იმდენს ხუმრობას,



მოგზაურობა ბახმაროს მთაზე.

სიმღერას, ბავშვების ხმაურობას ისმენდი, ბევრი ქვეითი მგზავრებიც იყვნენ, ერთიც ჩვენი სახლის პატრონის პატარა მოსწავლე გოგონაც მოდიოდა ფეხით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გენახათ, როგორ შველივით ხტოდა ქვებიდან ქვებზე, კლდიდან კლდეზე, ხელში გრძელი ჯოხით, სულ არ მოშორებია ჩვენი პატარების მთის ეტლს, სულ ფეხდაფეხ მისდევდა ცხენს. სამი-ოთხი ვერსი გაუჭირებლათ ავიარეთ. უცბათ მგზავრები შეჩერდნენ, ჩალანდრებმა კივილი დაიწყეს. ვიკითხეთ მიზეზი ამისი, გვითხრეს, —ეხლა ღარები იწყებაო, ჩალანდრებს ეშინიათ, წინ არავინ შეხვდეს ცხენოსანი, რადგან გზა ისეთი ვიწროა, რომ ცხენი ცხენს გვერდს ვერ აუვლის და ვერც უკან დაბრუნდებაო, და ამის ასაცდენათ უკივიან ერთმანერთს, ატყობინებენ, გზა თავისუფალია თუ არაო. შევედით ღარებში. აი რას წარმოადგენს ეს გზა: კლდეში გამოჭრილია ბილიკი, სიგანით იქნება სულ ერთი არშინი, ან ცოტა მეტი, სიმაღლით აქეთ-იქეთ კედლები ექნება დაახლოვებით **5—6** საჟენი. ამისთანა ღარები გვქონდა გასავლელი **18—20**, სულ სიგრძე ყველას ექნება დაახლოვებით ორი ვერსი. ბავშვების ეტლი ხან ერთს კედელს მიეხლებოდა, ხან მეორეს, ცუდ მდგომარეობაში იყვნენ პატარები, მაგრამ ბავშვის ბუნება რას არ აიტანს! ისეთ სიცილ-ხარხარს ასტეხდნენ ხოლმე, როცა ეუთი კლდეს მიეხლებოდა, კაცს ეგონებოდა რაღაც ძრიელ სასიამოვნო რამეს გადაეყარენო.

გავიარეთ ღარები, შემდეგ სამი-ოთხი ვერსი სწორი გზა შეგვხვდა გასავლელი ტყით, ეს მანძილი ცოტა მოსვენებით გავიარეთ. უეცრად სქელი ნისლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარს შემოგვერტყა, დაფარა სრულებით არე-მარე, ბავშვები შეშინდნენ, დაიწყეს ტირილი, რადგან ვერ ხედავდნენ წინ მიმავალ მგზავრებს და ვერც თავისთან მოგზაურ გოგონას, მათ ეგონათ, ეს არის გზას დავკარგავთ და დავიღუპებითო, მაგრამ ივანემ მალე დაწყნარა, აუხსნა მათ, რომ მთაში ნისლი ჩვეულებრივი მოვლენაა, იშვიათი დღე გაივლის უნისლოთო.

ეხლა შევუდექით მაღალ კლდეს, ამ ადგილს სიანარას ეძახიან გურულები იმისთვის, რომ ეს ადგილი სულ სალ კლდეს წარმოადგენს, ამ კლდეზე არის ამოჭრილი ცხენის ფეხის დასადგომათ საფეხურები; ბახმაროზე ნავალი ცხენი ადვილად ადის, ის ადამიანივით დგამს ფეხს ამ საფეხურებზე და მრიელ დაკვირვებით მიდის, შეუჩვეველი ცხენი კი სულ ბორძიკობს და დიდს ხიფათში აყენებს მხედარს.

დიდის გაჭირვებით ავიდნენ ცხენები და მიადგნენ დასასვენებელ ადგილს, სადაც დუქნები არის გამართული, ბახმაროზე მიმავალნი იქ ისვენებენ და სადილობენ კიდეც. ეხლა ჩვენ ვიყავით შვიდი ათას ფუტის სიმაღლეზე, ბახმარომდის სულ 8—9 ვერსი დაგვრჩა, გზა რაც ცუდი-სახიფათო იყო, უკვე გავლილი გვქონდა. ყველა მგზავრები ჩამოხტნენ ცხენებიდან, ჩვენი პატრაებიც ამოსხეს უცნაური ბუდეებიდგან, მოხსნეს ცხენებს უნაგრები და გაუშვეს საბალახოთ.

— ლეო, გასძახა ივანემ, აბა ეხლა შენ იცი, რო-

გორ სადილს მაჭმევ და თუ დამათრობ კარგი ღვი-
ნით. მე საკუთრივ თქვენი მხლებელი ვარ და შენგან
ველი კარგს სადილს.

ლეომ მაშინვე ერთი დიდი ბოთლი სამსე ღვი-
ნით მიურბენინა ივანეს, რომელიც ერთათ სხვა ჩვენ
ხალანდრებთან უკვე დამჯდარიყო მაგიდასთან და სა-
დილობდა, დაუდგა წინ და უთხრა: „ისე კი ნუ და-
თვრები, ჩემო ივანე, რომ დაგვამტვრიო ამ უცნაურ
გზაში“.

ბავშვებმაც მადიანად ისადილეს, ატამს არ დაუ-
კარგავს სრულებით მათთვის მადა, კატაც გამოამღეს
და ერთი საათის დასვენების შემდეგ ხელ ახლათ გა-
უდექით გზას. ეხლა ჩვენ მივდიოდით სულ თითქმის
ვაკე მინდვრებით, ეს მანდვრები საბალახოებია, სა-
დაც თითქმის მთელი გურია მოერეკება შინაურ საქო-
ნელს: ხარს, ძროხას, კამბეჩს, ცხენს, ცხვარს და ღო-
რებსაც კი. მიდიან ჩვენი პატარაები და აკი არ წაადგნენ
თოვლით ავსილ ადგილს, შექნეს ყვირილი: „თოვ-
ლი, თოვლი, ჩამოგვსვით ცხენიდან, ახლოს მივიდე-
თო“! ივანემ აუსრულა მათ სურვილი, გადმოსხა ცხე-
ნიდან, ბავშვები გაემურენ თოვლისკენ, და აი იმ
დროს, როცა თქვენ, ჩემო პაწიებო, ქალაქში სული
გეხუთებოდათ აუტანელი სიცხით, არ იცოდით სად
შეგეფარებიათ თავი, რადგან სახლშიაც არა ნაკლებად
ცხელა, თქვენი პატარა ამხანაგები თოვლის ბურთებს
აკეთებდნენ ბახმაროს გზაზე. კარგა ხანს ხტოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები, სდევნიდნენ ერთმანეთს თოვლში, სანამ არ დაიღალნენ, შემდეგ ჩასხდნენ ისევ ყუთებში. მივდივართ, ცამ სრულებით გადიწმინდა. ნისლი, რომელიც ჩვენ გარს გვეხვია, ეხლა დაეშვა ძირს. ბავშვები ძრიელ გაკვირდნენ, როცა ნახეს ცა მოწმენდილი, ნისლი კი შავ ღრუბლათ ჩაწოლილიყო მთის კალთებზე.

— ამას რას ვჰედავ, წამოიძახა თინამ, ცა როგორი ლურჯია და ქვეით კი ღრუბელია?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ეხლა ბარში დიდი წვიმაა, უთხრა ივანემ.

გაოცებულნი ბავშვები ამ ახსნის შემდეგ ცოტა დაწყნარდნენ, თორემ ძრიელ გაკვირებულნი იყვნენ, როგორ მოხდა ეს, რომ ცა აგერ ჩვენს თავზე სრულებით ლურჯია, მზე გვაცხუნებს და იქ კი, საიდანაც ჩვენ ეს მერვე საათია მოვდივართ, ეხლა წვიმსო.

მივუახლოვდით ბახმაროს, სულ ოთხი ვერსიღა დაგვრჩა, დავინახეთ შუაგულ ნაძვნარში სახლები: „ბახმარო, მადლობა ღმერთს, ბახმარო დავინახეთ, დაჰკივლეს მგზავრებმა. და მართლაც არ გაუვლია ერთ საათს, ავედით ბახმაროზე. ჩვენს წინ გადაიშალა საუცხოვო სურათი: მშვენიერი ვაკე ადგილი, ზედ გაშენებულია ორასამდე პატარ-პატარა ხის სახლები, თითქმის შუაზე ჩაუვლის ბახვის წყალი, ირგვლივ ამ ადგილს აკრავს ნაძვებით შემოსილი ფერდოები, ყოველ ფერდოზე ტყე იწყება თითქმის ოთხი-ხუთი ხით, თანდათან მრავლდება, ფართოვდება ტყე, სანამ სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეუერთდებიან ნაძვები ერთმანერთს და არ წარმოადგენენ ერთს ნაძვის წრეს ირგვლივ აგარაკისა. თვალწარმტაცი სურათია სწორედ, გგონია განგებ დაურგავს კაცს ეს ნაძვები ამ მშვენიერ გეგმაზედ. ჩვენი პატარა მოგზაურები ძრიელ დაიღალნენ, ჩქარობდნენ დასვენებას, ჩვენც მალე მოვნახეთ ბინა და თერთმეტი საათის მგზავრობის შემდეგ დიდი სიამოვნება ვიგრძენით, როცა შევედით სულ ახალ აშენებულ სახლში, სადაც მშვენიერი სუნი იდგა ნაძვისა.

**ივლიტა ნაკაშიძე.**

5 ივლისს, 1909 წ.



# როგორ უვლიდა ყმაწვილი თავის მამილოს.

(გადმოღებული ამერიკიდან)



ერთ წვიმიან დილას სოფლის პატარა ბიჭი გლეხური ტანისამოსით მთლათ გაწუწული და ტალახში ამოლაფული მიუახლოვდა საავათმყოფოს მეკარეს და გადასცა წერილი. ყმაწვილი თავის სოფლიდან მოდიოდა. მისი მამა მთელი წელიწადი წასული იყო სამუშაოთ და როდესაც ბრუნდებოდა თავის სამშობლოში, გემიდან გადმოსვლის დროს, უეცრად ავად გახდა. ძლივს მოასწრო ორიოდ სიტყვით ეცნობებინა სახლში, რომ ავად არის და საავათმყოფოში წევს.

ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა მისი ცოლი, მაგრამ რადგან ხელზე ძუძუ მაწოვარი ბავშვი ჰყვანდა და პატარა ქალიც უქეიფოთ იყო, თავის მაგივრათ გაგზავნა მამის მოსავლელათ უფროსი ვაჟი.

ყმაწვილმა ოცდაათი ვერსი ფეხით გაიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკარემ დახედა წერილს, დაუძახა საავადმყოფოს მსახურს და უთხრა: ყმაწვილი მიიყვანეთ მამასთანაო.

— ვინ არი მამა შენი? ჰკითხა მსახურმა.

ყმაწვილი შიშით აცახცახდა, ეგონა ეს არი ახლა რამე საშინელებას ეტყოდენ მის მამილოზე. უთხრა მისი სახელი.

მსახურმა ჯერ ვერ მოიგონა, რომ ამისთანა ვინმე ყოფილიყოს საავათმყოფოში.

— მოხუცი მუშა, შორიდან მოსული განა? ჰკითხა მან.

— მართალია, მუშაა? თქვა უფრო მეტად შეწუხებულმა ყმაწვილმა,— ძალიან მოხუცი არ არი,— შორიდან კია მოსული.

— როდის შემოვიდა საავათმყოფოში?

ყმაწვილმა დახედა წერილს.

— მგონი ამ ხუთი დღის წინეთ. მოსამსახურე დაფიქრდა. მერე თითქოს რაღაც მოაგონდა და უცბათ თქვა:

— მეოთხე განყოფილებაში იქნება. უსათუოდ ასეა. გამომყევ.

იმ ოთახში, საცა ყმაწვილი წაიყვანა ბნელოდა და ჰაერიც გაჟღენთილი იყო წამლების სუნით.

მსახური ამ ოთახის ბოლოს შედგა ერთ საწოლთან, ავათმყოფს გადახადა საფარი და თქვა:

— აი, მამა შენი.

ყმაწვილმა ტირილით ავათმყოფს მხარზე ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადო, მერე სტაცა ხელს, რომელიც უძრავათ საბან-
ზე ედო. ავათმყოფი არ გაინძრა.

ემაწვილი გადგა განზე, შეხედა მამას და ხელ-
ახლად დაიწყო ტირილი. ახლა კი ავათმყოფი და-
მტერდა, თითქოს იცნო, მაგრამ ტუჩები არ გაანძრია.
„საბრალო მამილო რანაირად გამოცვლილა", ფიქ-
რობდა ყმაწვილი. აბა შვილი რას იცნობდა იმას.
თმები სულ გასთეთრებოდა. წვერი გამოეშვა. სახე
მთლად დასიებოდა და დალურჯებოდა. ტუავი გასჭი-
მოდა და ლაპლაპებდა, თვალები დავიწროვებოდა, მკივს
ახელდა, ტუჩები აჭბეროდა, მთლათ სახე გამოსცვლო-
და, მნელი საცნობი იყო. მხოლოთ შუბლი და წარ-
ბებიღა დარჩენოდა თავისი. მძიმეთ და მნელათ სუნ-
თქავდა.

— მამილო, ჩემო მამილო! შეჰყვირა ყმაწვილ-
მა.—მე ვარ, განა არა მცნობილობ? მე მოველ სო-
ფლიდან, დედამ გამომგზავნა. შემომხედე კარგა, ნუ
თუ ვერ მიცანი? ხმა გამეცი, ერთი სიტყვა მაინც თქვი.

ავათმყოფმა დაკვირვებით შეხედა ამას და ისევ ისე
დახუჭა თვალები.

— მამილო! მამილო! რა დაგემართა? მე ხომ
შენი შვილი ვარ!

ავათმყოფმა აღარც კი მოიხედა. დიდი გაჭირე-
ბით სუნთქავდა.

ყმაწვილმა ისევ ისე ტირილით ახლოს მიიდგა
სკამი და თვალს არ აშორებდა მამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვი მწარე ფიქრებს მიეცა. მოაგონდა, როგორ მამა წასვლის წინეთ ესალმებოდა, როგორ დაჯდა გემზე, როგორი იმედები ჰქონდათ ამათ, რომ მამა იშოვის კაი სამუშაოს, მერე როგორ შეწუხდა დედა, როდესაც წერილი მიიღო.

უცბათ ვიღაცამ ოდნავ ხელი დაადო მხარზე, ყმაწვილი შეკრთა. მის წინ იდგა მომვლელი ქალი.

— რა დაემართა ჩემ მამას? ჰკითხა ყმაწვილმა მაშინვე.

— ყოჩაღათ იყავ, ყმაწვილო, უთხრა მომვლელმა ქალმა,—მალე ექიმიც მოვა.

ამ სიტყვებით გაშორდა ქალი.

ნახევარ საათის შემდეგ მოისმა ხმაურობა და უფროსი ექიმი თავისი თანაშემწეთი შემოვიდა; მოუახლოვდა თუ არა ექიმი ავათმყოფს, ყმაწვილი წამოუდგა ფეხზე და დაიწყო ტირილი.

ექიმმა შეხედა ყმაწვილს.

— ეს ავათმყოფის შვილია, თქვა მომვლელმა ქალმა,—დღეს დილით მოვიდა სოფლიდან.

მაშინ ყმაწვილმა მოიკრიბა ძალ-ღონე და ცრემლიანმა ჰკითხა:

— რითი არის ავად მამა ჩემი?

— ყოჩაღათ იყავ, ყმაწვილო, უთხრა ექიმმა და ხელი მხარზე დაადო.—წითელი ქარით, არის ავად. ხედავ, სახე დასივებული აქვს, მძიმეთ არის ავად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იმედი მაქვს კიდევ მაგის მორჩენისა. მოუარე, იქნება შენი აქ ყოფნით ეშველოს რამე.

და დღეის შემდეგ ემაწვილმა დაუწყო მამას მოვლა.

ავათმყოფი ხოგჯერ შეხედავდა მას, მაგრამ არ ეტყობოდა, რომ შვილს ცნობილობს. ხოლო კი თანდათან ხშირ ხშირათ შესცქეროდა. იმ იმედით, რომ მამა ყურს უგდებს, ემაწვილი მოუყვებოდა სახლის ამბებს, დედაზე, პატარა დებზე, როგორ დაბრუნდებიან ესენი სახლში. ისეთი ალერსით და ტკბილათ ლაპარაკობდა, რომ ამით უნდოდა გაემხნევებინა მამა

ამ გვარათ გავიდა მეორე დღე, მესამე, მეოთხე.

დღეები გადიოდა და ის არა შორდებოდა თავის მამილოს, ფხიზლათ უთევდა ღამეს და გულშემატკივრათ ადევნებდა თვალს ყოველ მის განძრევას.

მეხუთე დღეს ავათმყოფი უცბათ შეწუხდა ექიმმა თავი გადიქნია, თითქოს უნდა ეთქვა, საშველი აღარა არისრაო. ემაწვილი დაეცა სკამზე და ძორთო ტირილი. ნუგეშათ მხოლოთ ისღა ჰქონდა, რომ ავადმყოფი თითქოს გონზე მოდიოდა. ახლა ის აკვირდებოდა ემაწვილს და ალერსით შესცქეროდა. წამალს და წყალს თუ არ იმის ხელით, არავისაგან არ იკარებდა. და ხშირათ ტუჩებს ანძრევდა, თითქოს რიღასიც თქმა უნდოდა. მაშინ შვილი უჭერდა მას ხელს და დიდათ დაიმედოვნებული სიხარულით უჩურჩულებდა:

— ცოტა კიდევ მოითმინე, მამილო, კარგათ გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები, გავალთ აქედან, წავალთ სახლში, დედასთან, შენ უსათუოთ კარგათ გახდები!

—

იქნებოდა ნაშუადღევის ორი საათი, ყმაწვილი ჩვეულებისამებრ ავადმყოფს უჯდა. უცბათ მოესმა კარს უკან ფეხის ხმა, ვიღაც კაცი ლაპარაკობდა:

— მშვიდობით, კეთილო მომვლელო დაიავ!

ამის მეტი არაფერი მოისმა. ყმაწვილი წამოხტა ამ ხმაზე და ის იყო უნდა დაეყვირა, მაგრამ ყელში თითქოს რაღაც გაეჩარა.

ამავე დროს ოთახში შემოვიდა მომვლელ ქალთან ერთად ვიღაც კაცი, რომელსაც იღლიაში ამოჩრილი ჰქონდა დიდი ბოღჩა.

ყმაწვილმა შეჰკივლა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა, თითქოს მილურსმული იყოვო.

კაცი მობრუნდა, ერთი შეხედა და იმანაც შეჰკივლა:

— შვილო ჩემო! და გადაეხვია მას. ყმაწვილი დაეკონა მამას და გრძნობა დაჰკარგა.

მომვლელი ქალები, მსახურები, ექიმის თანაშემწე, ყველა გამოჩნდა, ყველამ თავი მოიყარეს და გაოცებული შეჰყურებდენ.

ყმაწვილი ხმას ვერ იღებდა.

— ჩემო გვრიტო, შესძახა მამამ და გადახედა ავათმყოფს, მერე ისევ შვილს დაუწყო კოცნა—ეს რანაირათ მოხდა, ჩემო პაწიავ? სხვასთან მიგიყვანეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომით! მე კი ვწუხდი, რომ არ გამოჩნდი, დედაშენი მწერდა, გამოვგზავნეო. დიდი ხანია აქა ხარ? როგორ მოხდა მაგისთანა შეცდომა. მე არა მიჭირსრა, ხედავ ფეხზე ვარ? როგორ არი დედა? დღეს გამოვდივარ საავათმყოფოდან, წამო რაღა? ღმერთო ჩემო, ვინ იფიქრებდა, რომ საქმე ასე წავა!

ყმაწვილი დაბნეული იყო და გაჭირვებით ორიოდ სიტყვა უთხრა დედაზე და ყმაწვილებზე.

— რა მოხარული ვარ, რომ გნახე! წაიბუტბუტა ყმაწვილმა,—რა საშინელი დღეები გამოვიარე!

ისევ ჩაეკრა მამას გულში, კოცნიდა მხურვალეთ, მაგრამ არ ეტყობოდა, რომ სადმე აპირებდა წასვლას.

— წავიდეთ რაღა! უთხრა მამამ, საღამოს კიდეც ვიქნებით სახლში.—აბა დაიძარ! და მოჰკიდა ხელი.

ყმაწვილმა გადახედა ავათმყოფს.

— რაღას უყურებ! მოდიხარ თუ არა? ჰკითხა გაკვირვებით მამამ.

ყმაწვილმა ხელ-ახლათ გადახედა ავათმყოფს.

ავათმყოფმა გაახილა თვალები და დაკვირვებით დააცქერდა ყმაწვილს.

ყმაწვილმა აღელვებით და სწრაფათ წამოიძახა:

— არა, მამილო, მოიცადე... ხედავ... არ შემიძლიან. ამ მოხუცებულს რა ვუყო... ხუთი დღეა ვუვლი, არ მოვშორებულვარ. ხედავ როგორ მიყურებს. მე მეგონა, რომ შენა ხარ... ისე მიყვარდა... გადმომ-

ხედავს ხოლმე და მეც წყალს დავალევინებ. იწყენს, რომ მოვშორდე. ახლა საბრალო მალიან ავად არის, მომიცადე ცოტა, ჯერ ვერ წამოვალ, არ ვიცი რა ვქნა!.. ვერ მივატოვებ ამას, ხვალ დავბრუნდები სახლში, დამტოვე ცოტა ხანს ამასთან... ცუდი იქნება, რომ ახლა მივანებო თავი. ერთი შეხედე, რანაირათ მიყურებს. არ ვიცი ვინ არის, მაგრამ, ხედავ, არ უნდა ჩემი მოშორება... მარტო რომ დარჩეს, ხომ უფრო შეწუხდება... მომეცი ნება, რომ ცოტახანს კიდევ დავრჩე აქ, ჩემო მამილო!

— ყოჩაღ, ემაწვილო! შეჰყვირა ექიმმა.

მამა გაკვირვებით უყურებდა შვილს; მერე გადახედა ავათმყოფს და იკითხა:

— ვინ არის?

— სოფლელია თქვენსავით, უპასუხა ექიმმა,— ამაც ქალაქში ჩამოვიდა სოფლიდან და იმავე დღეს, როდესაც თქვენ, შემოვიდა საავათმყოფოში, უგრძნობლათ შემოიტანეს აქა და ვინაობა ვერ შევიტყეთ. იქნება მაგასაც სადმე ცოლ-შვილი ჰყავს, იქნება თქვენი შვილი მიაჩნია თავის შვილათ?

ავათმყოფი არ აშორებდა თვალს ემაწვილს.

მაშინ მამამ უთხრა თავის შვილს:

— დარჩი, შენ კეთილი გულისა ხარ, მე კი უნდა ჩქარა წავიდე სახლში, რომ დედა შენი დავამშვიდო. აი, ცოტა ფული, იქნება რასმეზე დაგჭირდეს. მშვიდობით შვილო! ნახვამდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამამ აკოცა, მერე ჩახედა თვალებში, ერთი კიდევ გადუკოცნა შუბლი და გავიდა ოთახიდან

ემაწვილი დაბრუნდა ისევ ავათმყოფთან. ეტყობოდა, რომ იმას მალიან გაეხარდა ემაწვილის სიახლოვე... ემაწვილმა ადრინდელივით დაუწყო მოვლა, ახლა აღარა ტიროდა, მაგრამ ადრინდელივით მოთმინებას და მზრუნველობას არ აკლებდა, ამ ღამესაც არ მოშორებია ავათმყოფს და უძილოთ გაატარა ღამე. გათენებისას ოთახში შემოვიდა მომვლელი ქალი. შეხედა თუ არა ამ ქალმა ავათმყოფს, საჩქაროთ გავიდა და რამდენიმე წამის შემდეგ შემოიყვანა მორიგე ექიმი და მსახური ფარნით ხელში.

— თავდება! თქვა ექიმმა.

ემაწვილმა ავათმყოფს ხელი დაუჭირა.

იმანაც ერთი კიდევ აახილა თვალები, დააცქერდა ემაწვილს და ისევ ისე დახუჭა.

ემაწვილს მოეჩვენა, თითქოს მან ხელი მოუჭირა.

— ხედავთ, ხელი მომიჭირა! შეჰყვირა ემაწვილმა.

ექიმი ცოტა ხანს ადგა თავს მომაკვდავს, მერე ჩახედა და გაბრუნდა. მომვლელმა ქალმა ჩამოხსნა კედლიდან ჯვარი.

— მოკვდა! დაიყვირა ემაწვილმა.

— წადი შენ სახლში, ჩემო შვილო! თქვა ექიმმა. შენი ნაკისრი წმინდა მოვალეობა გათავდა. გასწი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი იყავ, როგორისაც ღირსი ხარ. ღმერთმა მოგცეს ყოველი სიკეთე, შვიდობით!

წასვლისას ყმაწვილი მოუბრუნდა მკვდარს და თქვა:

— მშვიდობით!..

უნდოდა რაიმე სახელით ეხსენებია, მაშინ მოაგონდა, რა ალერსით ეძახოდა ამ ორიოდ დღის განმავლობაში და წამოიძახა:

— მშვიდობით, საბრალო მამილო!

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.



# უცნაური ბრძოლა.



სამხრეთ ამერიკაში ერთმა მოგზაურმა ნახა უცნაური ამბავი. ერთხელ დილით გამოვიდა ის სასეირნოთ. მიდიოდა თავისთვის თავ ჩაღუნული, მიწას ჩასცქეროდა. უცბათ მისი ყურადღება მიიზიდა ერთმა მატლმა, რომელიც დიდი სიჩქარით მიცოცავდა ბალახზე. რამდენიმე ასიოდე პატარა ჭიანჭველა ასდევნებოდა ამ მატლს.

ჭიანჭველები მატლზე მსწრაფლათ მირბოდენ და მალე მოეწიენ. ჯერ ერთი ჭიანჭველა აცოცდა მასზე და უკბინა, მერე მეორე, მერე მესამე.

მატლი ერთ წამს შედგა... ჯერ ერთი თავისი მდევნელი უკუაგდო, რამდენიმე სხვებიც დახოცა. ატყდა ბრძოლა. ჭიანჭველები თითო-თითო აცოცდებოდენ მატლის ზურგზე, ის მსწრაფლათ აგდებდა ძირს და ხოცავდა, მაგრამ ბოლოს მატლი მოიღალა, მოიქანცა.

ეტყობა ჭიანჭველებმა შეატყეს მას დაქანცულობა და გადასწყვიტეს, იერიშით მისულიყვენ მტერზე. მატლმა თავს უშველა, გაიქცა. ერთ მაღალ კაჭახის წვერზე აცოცდა, თავდაყირა ჩამოეკიდა და ყოველ ჭიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭველას, რომელიც გაბედავდა მასთან მისვლას, ჩას-ჭიდებდა პირს და ჩამოაგდებდა ძირს.

ჭიანჭველებმა ნახეს, რომ ვერ მოერევოდენ და მოინდომეს გაიმვერაობით მისი ხელში ჩაგდება, და-უწყეს კაჭახის შტოებს ღრღნა. რამდენიმე წუთის შემ-დეგ მატლი ძირს დაეცა. მგზავრს შეებრალა საწყალი მატლი, აიყვანა და დიდის ამბით შესვა ხეზე. ჭიანჭვე-ლები კარგა ხანს უვლიდენ გარშემო ხეს და დაეძებ-დენ თავიანთ მსხვერპლს.

(ჟურავსკიდან)





# სახუმარო გასართობი.

## იხვის თავგადასავალი.

(რუსულით)

საბრალო იხვი შიმშილით
აქა-იქ დახეტიალობს,
თავბრუ ესხმება ჯავრისგან:
საჭმელს რომ ვერა შოულობს.

* * *

ბოლოს ბედმა გაუღიმა,
ნაჭერს საპონს სადღაც შეხვდა,
არ ეგემა, მაგრამ რას იქმნს,
შიმშილისგან ხარბათ ულაპდა.

* * *

ცოტა კიდევ მიიარა,
ახლა შეხვდა ყანის ნამჯას
სიხმისაგან ის, საბრალო,
ვეღარ უხერხებდა ულაპვას.

* * *

შემდეგ წყალთან მიირბინა,
ეგებ ამით უშველოო,
წყალში ეს მალე დალბება
არ ჩამეფხაჭნის ყელიო.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაულაჯულ საპნის ნაჭერს
წყალი მოხვდა, შეათხელა
და ჩალიდან თავისუფლათ
საპნის ბურთებს უშვებს მაღლა.

ან. გარეკახელი.






# სახუმარო გამოცანა.

— ვისთანა დგეხარ, როგორი ოჯახობაა? ჰკითხა ერთმა მოსწავლემ თავის ამხანაგს.

— საუცხოვო ოჯახში ვდგევარ! მიუგო მეორემ: უნდა იცოდე, რა მხიარული ოჯახობაა!

— ბევრნი არიან?

— აი რამდენი არიან: 3 დედა, 7 ქალიშვილი, 7 და, 5 დეიდაშვილი, 2 დეიდა, 5 დის-წული, 5 შვილი-შვილი, 1 დიდდედა და მე! მიუგო ამხანაგმა: აბა, გამოიცან, რამდენი ვართ?

პირველმა კიდევ ჩამოათვლევინა და საჩქაროდ მიუგო: 36 სული!

— უჰ, ეგ რა სთქვი! 36 სული ერთ ოჯახში გაგონილა?

— როგორც შენ ჩამოთვალე, სწორედ მაგდენი გამოდის და! მაშ რამდენი ხართ?

— ანგარიშში გაქებენ და აბა გამოიცან! ან ამხანაგებს ჰკითხე!

აბა, თქვენც დაეხმარეთ, პატარა მკითხველებო, ამის გამოცნობაში.

თეო კა—კი.

(ვინც ამას გამოიცნობს, მიიღებს საჩუქრათ წიგნს—ქართულ „ზღაპარს").

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დ ი ლ ა.

დილა იყო მზიანი,
ბრწყინვალე და ლამაზი,
კეკლუციავით მორთული,
ელვარე და მალხაზი.
„ტია-ტია“-ს ბულბული
გასძახოდა სტვენითა;
შეჰხაროდა ტურფა ვარდს
ქეიფით და ლხენითა!
მერცხლის ტკბილი ჭიკჭიკი
გაისმოდა ყველგანა,—
სიტკბოებას ციურსა
მისცემოდა ქვეყანა!
მეცა ვიგრძენ სიამე
გახარება გულისა
და ზეიმი ბუნების
საქორწილოდ სრულისა;—
შევუერთდი მის წიალს,
მივესალმე სიამით;
მერცხალმაც ეს სიტყვები
შემომძახა ტკბილის ხმით:
„წარიმძღვანე მუდამ წინ,
ყრმაო, საქმე კეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



და ეცადე დაიცვა
მტრისგან ერი გმობილი!
შენს სამშობლოს, დაჩაგრულს,
ექირება მფარველი
და ხსნას, როგორც სხვა ყველა,
მეცა შენგან მოველი!“
ამ სიტყვებმა მე მყისვე
მაგრძნობინეს სხვა ძალა;
სასოებამ მას აქეთ
ფრთა ოცნების გაშალა!
მახსოვს, მახსოვს ის დილა
ლამაზი და მზიანი
და სიტყვები მერცხლისა
ცხოვლად გულში ჩამწვდენი!

ლადო გეგეჭკორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას შუის ზღვა!

(მოთხრობა ფეოდორე დავიდოვისა).

მოღუშული ცივი დილა იყო, ზღვიდან უბერავდა მკაცრი, სუსხიანი ქარი. წვიმა წმინდათ სცრიდა. რა გაეწყობოდა, ბიძია კობა სამუშაოდ უნდა მაინც გასულიყო.

ის ძლივ-ძლიობით წამოდგა, მთელი სხეული უკვნესოდა, სტკიოდა: ბეჭები, ხელები, ფეხები. მძიმემ და ნაშრომ ცხოვრებამ თავისი დაღი დაასვა. ზღვა ყრუდ ხმაურობდა, შუოდა. წამდაუწუმ ასხამდა ქვიშიან ნაპირებს თეთრ ქაფიან დიდ ზვირთებს. ეს ზვირთები ნაპირზე იშლებოდა, პატარ-პატარდებოდა და ისევ უკანვე მიდიოდა, მის მაგივრათ ახლა სხვა ზვირთი ეხეთქებოდა დიდი ძალით ნაპირს. ბოლოს ესეც იშლებოდა, პატარდებოდა და ახლა სხვა ზვირთს უთმობდა ადგილს. ზვირთები აქაფდებოდენ და გაჰქონდათ შუილი... ხითხითი... ბიძიამ კარგათ იცოდა, რათ გაჰქონდა ზღვას შუილი...

ბიძია კობას ყმაწვილობიდანვე უყვარდა ზღვა, მერე უცბათ მოიძულა... ბოლოს ყველაფერი გაიგო და მიუტევა...

აი რას შუის და ხითხითებს ასე მკაფიოდ ეს ზღვა! ბიძია კობას კარგად ესმოდა ეს შუილი, თითქოს ზვირთები მისი ვინმე მახლობელნი, ნათესავნი იყვენ.

მეთევზე ბიძია კობა ერთ დროს ძალიან ბედნიერი იყო. ის მარტო ერთად-ერთი ვაჟიშვილით კარგათ სცხოვრობდა. ჰქონდა საკუთარი დიდი ნავი, ბადე... მაგრამ ზღვამ წაართვა იმას სარჩო-საბადებელი და ის ერთად-ერთი შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ზღვაში გავიდენ სათევზაოთ. თევზი იღბალზე ბლომათ დაიჭირეს, მაგრამ ცუდი ამინდი დაუდგათ, ნავი დასძირა. ბიძია კობამ შვილით დილამდის ფიცრის ნატეხებზე შეიმაგრეს თავი. დილით გამვლელმა გემმა გადაარჩინა ისინი. ბიძია კობამ აიტანა წყალში ყოფნა, მაგრამ შვილმა კი ვერ გაუძლო და მოკვდა.

გალარიბებული ბიძია კობა დარჩა მარტოთ-მარტო. ერთი ღამის განმავლობაში მეთევზე ნაღვლისაგან მოძლურდა, დაბერდა, დასუსტდა, მოეშვა და ღონე ისე გამოელია, რომ კაცი ველარ იცნობდა.

იმისი საქმე იქამდის მივიდა, რომ საჭმელიც კი აღარა ჰქონდა, მაშინ ბიძია კობა გავიდა მოწყალების სათხოვნელათ.

ყველა იცნობდა ბიძია კობას, ყველას გული შესტკიოდა და იბრალებდა მას.

— რა დაგმართნიათ, ბიძია კობა, ეუბნებოდენ,—აგრე რაზე მოეშვით? ყოველთვის ასეთი ღონიერი, მხნე და გულადი მუშა იყავით.

ბიძია კობა პასუხათ თვალებს აპარპალებდა და მოჰყვებოდა ტირილს.

— აღარა შემიძლიან რა! იმან.,. და ბიძია ზღვაზე გაიშვერდა ხელს,—წამართვა ყველაფერი... შვილი... მე ის მძულს დი იქიდან არაფერს არ ავიღებ, არ მინდა იმისი არაფერი, რაც უნდა თვალ-მარგალიტი მაძლიოს...

— უბედური შეშლილია, იქ აკლია... ამბობდენ და მის შუბლზე უთითებდენ.

* * *

ბიძია კობა გამოაბრუნა სიცოცხლისკენ ერთმა მათხოვარმა ბავშმა. იმან არა თუ გადაარჩინა მათხოვრობას—ცხოვრების მიზანიც გაუჩინა.

როგორ მოხდა? აი როგორ.

როგორც ყველა მათხოვრები, ბიძია კობაც დღესასწაულებში საყდრის კარებზე ტრიალებდა.

ერთხელ ის იდგა ერთ მოხუცებული დედაკაცის გვერ-

დით. ამ დედაკაცს ხელი ეჭირა პაწაწა ყმაწვილისა—სელის-
ტისა. ეს ბავში გამხდარი, ნაავათმყოფარი იყო, მაგრამ ეტყო-
ბოდა, ბავშვი მაგარი ხასიათისა უნდა ყოფილიყო. არ აჩენდა თა-
ვის ნაღველს და მწუხარებას—იცოდა თავის დაკავება. ეს ერ-
თი-ორად აბრაზებდა მათხოვარს. „როდესაც ბავში ტირის და
კვნესის, ამბობდა გულში ეს დედაკაცი, მაშინ უფრო ყველა
მისცემს მოწყალებასაო. და უბრძანებდა სილისტის, ეტირნა
და ეკვნესა, მაგრამ ის ხმას არ იღებდა, ხოლო ნელა ჩაახვე-
ლებდა ხელში. მაშინ მოხუცებული მათხოვარი ხან ყურს აუ-
წევდა და ხან უჩქმეტდა. პაწაწა გოგო შეკრთებოდა და სიმ-
წრით ტუჩებს დაიკვნეტდა.

და აი ამ საყდრის კარებზე მოხუცებულმა მათხოვარმა
წაისისინა:

— ახლაც არ იტირებ, შე არ დასაცალებელო, იმდენსა
გცემ, რომ მოგკლა.

ის იყო ასწია ხელი საცემრათ, მაგრამ ველარ სცემა... ბი-
ძია კობას მძლავრმა ხელმა შეაყენა.

— გრცხვენოდეს შე ბოროტო ბებერო! უკმახათ უთხრა
ამან და თვალები დაუბრიალა.

ბიძია კობა ყველას მიაჩნდა გიჟათ და მასთან საქმის
დაჭერა ეშინოდათ, ამასთანავე პატარა გოგო ობოლი იყო
და ამ მათხოვარს არაფერი უფლება არა ჰქონდა იმაზე.

ბიძია კობამ სელისტის ხელი დაუჭირა და თავისთან წაი-
ყვანა.

* * *

ეს ღმერთმა მაჩუქა! ფიქრობდა ბიძია კობა,—უბედურ
ბენოს რომ ვლოცულობდი, ღმერთმა სამაგიეროთ შვილი მომცა.

— თითონ არა გააჩნიარა, ლუკმა არა აქვს და შვილო-
ბილს კი იყვანს! ამბობდენ ბოროტები ბიძია კობაზე.

— მაგ გოგოს სიმშილით მოჰკლავს, აბა ნახეთ!

მაგრამ ბიძია კობამ კარგათ იცოდა, რასაც კისრულობდა.

ყველაზე უწინ მან დაათვალიერა ყურადღებით სელისტი.
ყმაწვილს ტანზე თითქმის არაფერი ეკრა.

— მშიერი ხარ? ჰკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხო, ბიძია კობავ, ძალიან მშიან.

— გცივა კიდეც?

— მცივა. ხომ არ გამაგდებთ?

— გაგდება რა სათქმელია.

ყმაწვილი მივარდა ბებერ მეთევზეს და მკერდში ჩაეკონა და ამ დღიდან ბავშის ბედი გადაწყდა. საბრალო ბენოც ხომ ასე ჩაეკვრებოდა გულში ამას, როდესაც ის პატარა და უძლური იყო.

* *
*

სილისტის კაბისთვის საჭირო იყო ფული, ფეხსაცმელების სასყიდლათაც მოუნდებოდა ფული, სელისტი რომ კარგათ გაეძლო, ამისათვისაც ხომ დასჭირდებოდა ფულები. ღამე პერანგის ამარას ყმაწვილს ხომ შესცივდებოდა—აქაც უპირველესი საქმე ფულის შოვნა იყო. ფული უსათუოდ უნდა ვიშოვო,—გადასწყვიტა კობამ.

— რა ვუყოთ რომ არა მაქვს! საჭიროა და ვიშოვი კიდეც.

და ერთბაშათ მოხუცმა მათხოვარმა იგრძნო, რომ ის სულაც ღარიბი არ არი. თითქოს ამ სუსტ ავათმყოფ გოგონამ, რომელიც ისე ნდობით ეხუტებოდა ამ უცნობ კაცს, ჩაჰბერა ახალი სიცოცხლე და მისცა ისეთი დიდი ძალა, რომლის მეოხებით გაუძლებდა ის ყოველ მძიმე შრომას.

ბიძია კობა შეუდგა ამ ძნელ საქმეს!

მეზობელს დროებით გამოართვა თევზის დასაჭერი ჩანგალი, რომლის წვეტი კბილები მიაგვანდა ხოჭს. მეთევზეები ამითი მარჯვეთ იჭერენ ერთხელ ნიშანში ამოღებულ თევზებს.

ყოველთვის ისეა, რომ თუ უნდა კა<sup></sup>ცმა დიდ საქმეს მიაღწიოს—უნდა პატარიდან დაიწყოს. ერთბაშათ არაფერი არ კეთდება.

ბიძია კობას დაავიწყდა თავისი მოხუცებულობა, გულგატეხილობა, მუშაობაზე ხელის აღება, ზიზღი ზღვისადმი. ახლა რამდენსამე საათს ფეხზე იყო ხოლმე, მუხლებამდის წყალში იდგა და ისე თვალს არ აშორებდა სუნაგ თევზებს, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიც ერთი-მეორეზე ჩანგალზე აეგებოდენ. ის ახლა არ გრძნობდა არც სიცივეს, არც დაღალვას.



კობა ნათლათ ხედავდა, რომ ის პატარა სელესტისთვის ძალიან საჭირო იყო. როდესაც გულში იკრავდა პატარას— გრძნობდა, რომ მას შვილი არ მოჰკდომია, რომ ვინმე ცოცხალი მის მკერდზე ნაზათ ფეთქავს.

როდესაც სელისტი მის კალთაში სისუსტით ჩაიძინებდა, მოხუცი მთელი საათობით უძრავად იჯდა და ალერსით ჩასცქეროდა.

—ღმერთო, სამართალი გცოდნია! ჩურჩულებდა ის მაშინ და მისი გათეთრებული ტუჩები თრთოდა.—დიდება შენს სახელს, შენი მადლი ყველგან ტრიალებს, შენ დიდებას საზღვარი არა აქვს. აქ შვილზე და ან ძმაზე კი არ არი საქმე —ადამიანია ძვირფასი, მე გავიგე, ღმერთო, შენი სიყვარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ადამიანისადმი. ვისაც ბევრ სიკეთეს ვუზამთ—ის არის ჩვენთვის ძვირფასი. ამიტომაც არის ადამიანებისათვის ძვირფასი შვილები და ჩემთვის საუნჯეღ ობოლი სილისტი.

**ან. წერეთლისა.**

(თარგმანი)



ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეთრი ფინია.

(მოთხრობა კუპრინისა)

სამხრეთ ყირიმის ზღვის კიდეებზე, ვიწრო ბილიკით, ერთი აგარაკიდან მეორესთან მიდიოდა პატარა ჯგუფი მაწანწალებისა. წინ მირბოდა ენა გამოგდებული თეთრი ფინია არტო, ლომის მსგავსათ შეკრეჭილი. ის კუდს იქნევდა, ყოველ გადასახვევზე შესდგებოდა და უკან იხედებოდა. ძაღლს მოსდევდა თორმეტი წლის სერგო, რომელსაც მარცხენა იღლიაში ამოჩრილი ჰქონდა პატარა ბოღჩა (ფუთა) ტანისამოსით და მარჯვენა ხელში კი ჭუჭყიანი გალია საყა ჩიტით, რომელიც შეჩვეული ჰყავდა ნისკარტით ყუთიდამ ფერად-ფერადი ქაღალდების ამოღებას, სადაც ეწერა ადამიანის ბედი. სულ ბოლოს მიდიოდა უფროსი წევრი ამ ჯგუფისა ბაბუა მარტინი ლოდიჟკინი. მას ზურგზე ეკიდა ორღანი.

ორღანი ერთობ ძველი იყო, სიძველით ხმა ჩახრინწოდა, ხრიალებდა, ეტყობოდა ბევრჯელ მიეცათ გასასწორებლად ოსტატისთვის. ის მხოლოდ ორ ხმას უკრავდა: ერთს— მოსაწყენ ნემეცურ ვალსს და მეორეს—„ჩინეთში მოგზაურობას''. ეს ორივე ამ 30—40 წლის წინეთ იყო დიდ მოდაში. ერთი წმიდა ხმის ლულა სრულებით გაფუჭებული ჰქონდა და როცა საქმე იმ ლულამდის მივიდოდა, ხმა ჩაწყდებოდა და ხრიალს მოჰყვებოდა. მეორე ლულას, სადაც დაბალ ხმას უკრავდა, საცობი დროზე არ ეხურებოდა და როცა დაიწყებდა დაკვრას, ველარ შეწყდებოდა ხოლმე და იქაურობას აყრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებდა. ბაბუა გრძნობდა თავის ორღანის ნაკლულევანებას და ხუმრობით, თანაც მწუხარებით იტყოდა ხოლმე:

— რას იზამ? ძველი ორღანია... გაციებულა, სურდო სჭირს, რომ დაუკრამ მოაგარაკეთა სწყინთ: ,,ფუ, იძახიან რა საძაგლობაათ! ანგები კი კარგი იყო, ახალი მოდისა... მაგრამ ეხლანდელ ბატონებს სრულებით არ მოსწონთ. იმათ მიართვით ,,ჰეიშე'', ,,ჩიტების გამყიდველიდამ'' და სხვა ახალ-ახალი ხმები ამის ლულები კი წამხდარია, მაგრამ რა გაეწყობა! გამკეთებელს მიუტანე და იმან მითხრა — ლულები უნდა გამოეცვალოსო. გირჩევთ, რომ ეს დამჟავებული, ხრინწიანი ორღანი ისტორიულ მუზეუმს მიჰყიდოთო, როგორც ძველებური ნაშთიო! რა ვუყო! ამდენი ხანი ხომ გამომკვება, ჩემო სერგო, ამას იქითაც, ღმერთი მოწყალეა, გვემსახურება.

ბაბუა მარტინს თავისი ორღანი ძალიან უყვარდა ისე, როგორც სულ-დგმული, მახლობელი და ნათესავი. ესენი დიდი ხნობიდან შეჩვეული არიან ამ მაწანწალა ცხოვრებას. ხშირად, როცა სადმე ჭუჭყიან ოთახში ღამის გასათევებლათ შევიდოდა მარტინი, თავთან თავის ორღანს დაიდგამდა. ზოგჯერ უცბათ მოისმოდა რაღაც მოწყენილი, თითქოს მოხუცის კვნესა, მაშინ მარტინი ხელს გადუსვამდა თავის მეგობარს და წასჩურჩულებდა:

— რაო, ძმაო? ბედს უჩივი, მოითმინე!

მარტინს არა ნაკლებათ, უფრო მეტათაც უყვარდა თავის უნცროსი თანამშრომლები: ფინია არტო და პატარა სერგო. პატარა ბიჭი ამ სამი წლის წინეთ გირაოთ მისცა ამას ერთმა ლოთმა ხარაზმა. ხარაზი მალე მოკვდა და სერგო სამუდამოთ შერჩა ბაბუა მარტინს.

II

ბილიკი ზღვის ნაპირის მაღლობ ფერდოზე ადიოდა. უძველეს ზეთის ხილის ხეებ შუა ზღვა ხანდისხან ხეებ შორის გამოჩნდებოდა; ჩვეულებრივზე უფრო ლურჯი იყო. ბაღახში, შინდის და ასკილის ბუჩქებში, ვენახში და ხეებზე დახტოდნენ ჭრიჭინები და გაჰქონდათ ჭრიჭინი; ჰაერში იყო შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყვეტელი ხმაურობა. დღე საშინელი ცხელი და უნიავო იყო. გახურებული მიწა ფეხებს სწვავდა.

სერგო ჩვეულებრივ წინ მიდიოდა, უცბათ შედგა და ბაბუას მოახლოვებას ელოდა.

— რა დაგემართა, სერგო? ჰკითხა მეორღანომ.

— ცხელა, ბაბუავ... მოთმინება დამეკარგა! ვიბანავებ...

მოხუცმა ორღანი გაისწორა, სახელოთი შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— მაგაზე უკეთესი რა იქნება! ამოოხვრით სთქვა მან და ზღვას ხარბათ გადახედა, მაგრამ ბანაობის შემდეგ უფრო დაიქანცები. ერთი ნაცნობი ფელშერი მეუბნებოდა, რომ ზღვის მარილი ძალიან მოქმედობს ადამიანზე... ასუსტებსო...

— იქნება იცრუა! ეჭვით შენიშნა სერგომ.

— იცრუა კი არა! რა ძალა ადგა? ის დარბაისელი, ფხიზელი კაცია, სევასტოპოლში საკუთარი სახლი აქვს. მაინც ზღვაში აქედან ჩასასვლელი გზა არ არის, მოიცადე, მალე მისხორამდის მივალთ და იქ ჩვენი ცოდვილი სხეული ბანაობით გავანებივროთ, სადილი ვჭამოთ და მერე ცოტა წავთვლემოთ.

არტომ ლაპარაკი რომ გაიგონა, მიუახლოვდა მათ, იმის ლურჯ და კეთილ თვალებში ხვეწნა-მუდარება გამოიხატებოდა. ხშირი სუნთქვისაგან გამოგდებული ენა გახმობოდა.

— რაო, ძამიავ, გცხელა? ჰკითხა მოხუცმა.

ძაღლმა დაამთქნარა და დაიღმუილა.

— რა ვქნათ, ძამიავ, მეტი ღონე არ არის... „შენის ოფლით შეინახე თავი შენიო, გააგრძელა დარიგების კილოთი მარტინემ.—კარგი—გასწი, ფეხებში ნუ მებლანდები, მე კი, სერგო, უნდა გამოგიტყდე, მიამება როცა ასეთ სიცხეში დავისვენებ. ეს ორღანი მიშლის ცოტა, თორემ სადმე ჩრდილში, ბალახზე პირაღმა გავწვებოდი და ჩემთვის მოსვენებული ვიქნებოდი. ჩემ დაბერებულ ძვლებისთვის ხომ მზე ძალიან მარგებელია

ბილიკი ახლა განიერ გზას შეუერთდა. აქ ერთი გრაფის ძველებური ბაღები იწყებოდა. მრავალი ლამაზი აგარაკები იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა-იქ გაფანტულნი, მორთულნი შადრევნებით და ყვავილნარით. მარტინი აქაურ ადგილებს კარგათ იცნობდა, ყოველ წელიწადს, როდესაც ყურძენი დამწიფდებოდა, რთვლის დროს, ყირიმი მუდამ ხალხით გაივსებოდა. შავი ზღვის პირის მშვენიერ ბუნებას მოხუცი სულაც არ მოჰყავდა ალტაცებაში. უნდა გენახათ აქაური მაგნოლიები თავისი ბრწყინვალე მოელვარე და მაგარი ფოთლებით, თეფშის ოდენა თეთრი ყვავილებით და ვაზით შემოსილი ფანჩატურები, საიდანაც დიდრონი მწიფე მტევნები იყო ჩამოკიდული. თვალ გაუწვდენელი თუთუნის ნათესები, მდინარეები, ჩანჩქრები და ნაკადულები. ყველგან აგარაკების კედლებზე და ეზოებში ფერად-ფერადი სუნელოვანი ყვავილები და ვარდები აკვირვებდა და აოცებდა სერგოს. ის ყოველ წუთს მოხუცს მკლავს წაჰკრავდა და იძახოდა:

— უყურე, ბაბუა, ამ შადრევნებში როგორი ოქროს თევზები ცურავენ! ღმერთმანი ოქროს თევზებია! ყვიროდა ალტაცებით ბავშვი და ლობეს ეპოტინებოდა, საიდამაც მოჩანდა დიდი ჰაუზი.— რა ატამია, ოჰ, რამდენი ატამი ასხია.

— გასწი, წადი, შე სულელო! რა პირი დაგიღია! ხუმრობით წაჰკრავდა ხელს მოხუცი.— მოიცა, ქალაქ ნოვოროსისკამდის მივიდეთ, იქიდან ცოტა სამხრეთით ჩაუხვევთ. აი სანახავი იქ არის, ისეთი მშვენიერი ადგილებია. მივალთ სოჩაში, ადლერში, ტუაპსეში. იქით მერე სოხუმია, ბათუმია... თვალები დაგებრიცება... ავიღოთ მაგალითათ ბაია... სწორეთ საკვირველებაა! ღერი ბანჯღვლიანი აქვს, გეგონება ქეჩა ახვევიაო, ფოთლები იმ სიდიდეა, რომ ორივეს დაგვჩრდილავს.

— მართლა? გაუკვირდა სერგოს.

— მოიცა... თითონ შენი თვალით ნახავ. განა ცოტა რამ არის გასაკვირველი! აი, მაგალითად, ფორთოხალი, თუნდ ლიმონი... შენ ხომ მარტო დუქანში გინახავს.

— მერე?

— იქ ისე გარეთ, ჰაერზე იზრდება, პირდაპირ ხეზე, როგორც ჩვენი ვაშლი, ან მსხალი. ხალხიც იქ სულ სხვანაირია: თათრები, სპარსელები, ჩერქეზები, სულ გრძელ ტანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოსში გამოწყობილნი, ყველას ხანჯლები წელზე ჰკიდიათ. მამაცი ხალხია. ეფიოპებიც არიან. ბათუმში ხშირად შემხვედრიან.

— ეფიოპი! ჰო, გამიგონია იმათ რქებიც აქვთ... დარწმუნებით თქვა სერგომ.

— რქები კი არა აქვთ, ეგ ტყუილია, მაგრამ ნახშირივით შავები არიან. ტუჩები საშინელი სქელი და ალისფერი აქვთ, თვალები თეთრი და სქელი შავი ხუჭუჭი თმა, როგორც ბატკანს.

— საშიშარი უნდა იყვნენ ეგ ეფიოპები!

— მართალია გეუცხოვება, გეშინიან კიდეც, მაგრამ როცა ხედავ, რომ სხვებს არ ეშინიათ, შენ უფრო თამამდები. იქ ბევრი რამ არის გასაკვირველი. მივალთ და შენ თვითონ ნახავ. ერთი საძაგლობა კი სჭირს, რომ ციება იცის. სულ გარშემო ჭაობებია და ამასთანავე საზარელი სიცხეა. ამ ბოლო დროს ეს ჭაობები ცოტა არ იყოს, ამოაშრეს. იქაურ მცხოვრებს არა სწყინთ ეს ჰაერი, უცხოებს კი ძალიან ავნებთ. გვეყოფა ამოდენი ლაქლაქი. აბა შედი ამ კარებში. ამ აგარაკში კეთილი ბატონები ცხოვრობენ. მაგათი ამბები მე ცკითხე, ყველაფერი ვიცი!

ჩვენ მგზავრებს ხეირიანი დღე არ დაუდგათ: ერთ ადგილიდან გამოაგდეს, მეორედამ ორღანის ხრინწიანი ხმის გაგონებაზე, აივნიდამ უკმაყოფილოთ ხელი გაუქნიეს, მესამედამ მოსამსახურეებმა გამოუცხადეს, რომ ბატონები ჯერ არ ჩამობრძანებულანო. ორ აგარაკში კი აჩუქეს, მაგრამ ძალიან ცოტა. საზოგადოთ მარტინი ცოტათითაც კმაყოფილდებოდა. ქუჩაში რომ გამოვიდა, მოხუცმა ჯიბეში ფულები გააჩხრიალა და თქვა:

— ორი და ხუთი—შვიდია, არა უშავს რა ჩემო სერგო, შვიდჯერ რომ შვიდ-შვიდი კაპეიკი მოგვცენ, თითქმის ათ შაურამდის მოგროვდება—სამივეს გაგვაძღობს, ღამის გასათევებელი ბინის ქირათაც გვეყოფა და კიდევ იმდენი დარჩება, რომ ჩემი სუსტი ძვლები ერთი პატარა ჭიქა არაყით

გავაღონიერო... ეჰ, რას იზამ, მდიდრებს ეს არ ესმით... უზალთუნის მოცემა ენანებათ, შაურიანის გადმოგდება სცხვენიათ და ცარიელს გვისტუმრებენ. სამი კაპეიკიც რომ მომცენ, იმის მადლობელიც ვიქნები... არ ვიწყენ, რა ვუყოთ... აქ საწყენი რა არის?

საზოგადოდ ლადიჟკინი უწყინარი და მშვიდობიანი კაცი იყო და არას დროს არ ჩიოდა. მაგრამ დღეს ისიც კი მოთმინებიდან გამოიყვანა ერთ აგარაკის პატრონმა ლამაზმა ჩასუქებულმა ახალგაზრდა ქალმა. ის გულ მოდგინეთ ისმენდა მუსიკას, უფრო ყურადღებით უყურებდა აკრობატის თამაშობას და არტოს ეშმაკობას. დიდხანს ჰკითხავდა ბავშვს, რამდენი წლისა ხარ, რა გქვიანო, აკრობატობა სად ისწავლეო, ეს მოხუცი მისი რა არის და რა ხელობისა იყვნენ მისი დედ-მამა და სხვა. შემდეგ უთხრა, მომიცადეთო და ოთახში შევიდა.

დიდხანს მოუნდათ ამათ ცდა. მოხუცი სიხარულით უჩურჩულებდა ბავშვს.

— ბედი გვეწია, ჩემო სერგო, ყოველთვის მე დამიჯერე. ყველაფერი ვიცი... იქნება ტანისამოსი მოგვცეს, ან ფეხსაცმელი. ბოლოს ქალბატონი გამობრძანდა ქისა ხელში, აივნიდან გადმოუგდო პატარა თეთრი ფული და ისევ ოთახში შებრუნდა. ფული ძველი იყო, ორივ მხრივ დაჭეჭყილი და გახვრეტილი. ბაბუა დიდხანს დაკვირვებით ათვალიერებდა ფულს. აგარაკი კარგა გაშორებული იყო, მაგრამ უზალთუნი მაინც მაგრა ხელში ეჭირა.

— დიაღ.... მარჯვეთ მოიქცა! წარმოსთქვა მან და უცბათ შესდგა, —ჩვენ კი სამი სულელი როგორ ვცდილობდით! ფოლაქი რომ გადმოეგდო ისა სჯობდა, სადმე მაინც დავიკერებდით. ამას კი რა ვუყო. რის მაქნისია ქალბატონი კი უსათუოდ ფიქრობს რომ ბევრი ღამე ვისმეს შეაპარებსო. არა, ბატონო, ძალიანა სცდებით, მოხუცი ლადიჟკინი თავის დღეში მაგვარ სისაძაგლეს არ ჩაიდენს. რაც უნდა გაუჭირდეს. დიაღ! აი თქვენი ძვირფასი უზალთუნი! აი!..

და ამაყათ და თან სიბრაზით მოიქნია ფული და გადისროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარათ მოხუცმა, ბავშვმა და ძაღლმა მთელი აგარაკები მოიარეს და ზღვის პირას ჩასვლას აპირებდნენ რომ მარცხნივ ერთი უკანასკნელი აგარაკი დაინახეს. თვითონ სახლი არა ჩნდა რადგან ღობესთან მაღალი ალვის ხეები იყო ჩამწკრივებული. რკინის ალაყაფის კარებიდან მოჩანდა მწვანე ბაღახი, მშვენიერი ნაირ-ნაირი ყვავილები და შორს ვაზით და ყურძნით დაფარებული ხეივანი. ბაღახებში მებაღე იდგა და ყვავილებს რწყავდა.

მოხუცი აპირებდა გავლას, მაგრამ როცა კარებში შეიხედა გაკვირვებული შესდგა.

— მოიცა, პაწიავ, დაუყვირა სერგოს. მგონი ხალხია აქ. გასაკვირველია, ამდენი წელიწადია მე აქეთკენ დავიარები და ადამიანის ძე ამ სახლში არ მინახავს. აბა, შედი, შვილო.

აგარაკი „მეგობარი“, უცხოსთვის შესვლა აკრძალულია, ამოიკითხა სერგომ.

— მეგობარიო? გამოჰკითხა მოხუცმა. აი, ნამდვილი და კარგი სიტყვა. მთელმა დღემ მუქთად ჩაგვიარა და აქ კი უთუოდ კარგი საშოვარი მოგველის. მე ვგრძნობ როგორც მონადირე ძაღლი. არტო აქეთ, შედი თამამად. მე მკითხე ხოლმე, ყველაფერი ვიცი!

## III

ბაღის გზები ღვიჭათი იყო დაფენილი, რომლებსაც ფეხებ ქვეშ ხრაშუნი გაჰქონდა და ორივ მხრივ ფერად ფერად ყვავილების ბუჩქებით იყო შემკული. ამათი სუნელოვანება ჰაერს ატკბობდა. შადრევნებიდან და ჰაუზიდან მშვენიერი ანკარა წყალი გადმოსჩქებდა, მაღალ ხეებ შუა ორი დიდი სარკეს მსგავსი დიდრონი ბურთი ეკიდა, რომელშიაც ეს მაწანწალა ჯგუფი თავდაყირა გამოისახა.

სახლის აივნის წინ დიდი სუფთა მოედანი იყო. სერგომ თავისი ხალიჩის ნაგლეჯი გაშალა, ბაბუამ თავისი ორღანი ორფეხზე დასდგა და ის იყო დასაკრავათ მოემზადა, როდესაც რაღაც საშინელმა ხმაურობამ მიიპყრო ამათი ყურადღება.

შიგნით ოთახებიდამ საზარელის ყვირილით შურდულივით გამოვარდა ასე რვა ან ათი წლის პატარა ვაჟი. იმას თხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მეზღვაურთა მსგავსი ტანისამოსი ეცვა, ხელები და მუხლები ტიტველი ჰქონდა. გრძელი ხუჭუჭი თმა კულულებათ მხრებზე ეყარა. იმას თან გამოჰყვა ექვსი ქალი და კაცი: ორი გულსაფარიანი მომვლელი დედაკაცი, ერთი სქელი მოხუცი უწვერ-ულვაშო ფრაკში გამოწყობილი მსახური, მასწავლებელი ქალი გამხმარი, მოწითანო თმიანი და წითელ ცხვირა ლურჯ ზოლებიან კაბაში გამოწყობილი, მერე ახალგაზრდა სუსტი აგებულობის ლამაზი ქალი არშიებიანი ცისფერი დილის კაბით. ბოლოს გამოჩნდა ერთი მსხვილი, ბელატი ჩესუნჩის ტანისამოსით და ოქროს სათვალებიანი კაცი. ყველანი ძალიან აღელვებულნი და შეწუხებულნი იყვნენ, ხელებს იქნევდნენ და ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ. ეტყობოდა, რომ ამათი აღელვების მიზეზი იყო ეს პატარა ვაჟი.

ბავშვი კი განუწყვეტლივ გაჰკიოდა, პირქვე დაეცა ქვის იატაკზე, მსწრაფლად პირაღმა გადატრიალდა და გაბრაზებული ხელებსა და ფეხებს იქნევდა. უფროსები გარს დასტრიალებდნენ. მოხუც მსახურს ორივე ხელები გახამებულ პერანგის გულზე მიეკრა და შეწუხებული ემუდარებოდა:

— დიდებულო ბატონო, ნიკოლოზ აპოლონის ძევ! ნუ აწუხებთ დედას—აბრძანდით. მიიღეთ წყალობა—მიირთვით წამალი, ტკბილია როგორც შარბათი. აბრძანდით...

გულსაფარიანი დედაკაცები ხელებს იქნევდნენ და შეშინებულის ხმით რაღასაც წრიპინებდნენ, წითელ ცხვირა ქალი ტრაღიკულათ ხელებს შლიდა და გაუგებარ სიტყვებს ამბობდა, უთუოდ უცხოელ ენაზე ლაპარაკობდა. ოქროს სათვალებიანი ბელატი კაცი დარბაისლურად ხელებს და თავს აქეთ-იქით აქნევდა... სუსტი ლამაზი ქალი კვნესოდა და არშიებიან ცხვირსახოცს წამდაუწუმ თვალებზე იფარებდა.

— ოჰ, ტრილლი, ოჰ ღმერთო ჩემო... ჩემო ანგელოზო, გეხვეწები... გაიგონე, დედა გეხვეწება... აბა, დალიე ეს წამალი, ნახამ რომ მაშინათვე უკეთ შეიქნები, მუცელიც დაგიამდება და თავიც გაგიგრილდება. ჩემი გულისთვის ჩემ სასიამოვნოთ, ჩემო სიხარულო! გინდა, ტრილლი, დედა დაგიჩოქებს, აი ხედავ დედა დაჩოქილი გეხვეწება... გინდა ოქროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულს გაჩუქებ, ერთს, ორს, ხუთს?.. გინდა ცოცხალ ვირს გიყიდი, ცხენს? უთხარით რამე, ექიმო!

— ყური დამიგდე, ტრილლი, ვაჟკაცობა გამოიჩინე, დაი-ბოხა ოქროს სათვალებიანმა.

— ვაი-ი-ი, ვაი-ი-ი! ყვიროდა ბავშვი და აქეთ-იქით წი-ხლებს ისროდა და ზოგს მუცელში და ზოგს გულში არტყამ-და. სერგო გაკვირვებული და გაშტერებული უყურებდა ამ ამბავს. მერე ნელა მოხუცს ხელი წაჰკრა:

— ბაბუა ლადიჟკინ, რა ემართება ამას? ჰკითხა ჩურჩუ-ლით სერგომ — ცემას ხომ არ უპირობენ.

— ცემას კი არა... თვითონ მაგან არა სცემოს სხვებს! თავის ნება, წამხდარი ბავშვია. უთუოდ ავად თუ არის და წამალს არა სვამს.

— შეშლილია, განა? სთქვა სერგომ.

— მე რა ვიცი. ჩუ, ნელა!

— ვაი-იი! თქვე საძაგლებო, სულელებო! ყვიროდა, უფ-რო და უფრო ბავშვი.

— დაიწყე, სერგო, ეგ მე ვიცი! უეცრივ მოახდინა გან-კარგულება ლადიჟკინმა და თითონაც ორღანის ტარი დაატ-რიალა, მთელ ბაღში ხრიალი და უსწორ-მასწორი მუსიკის ხმა გაისმა. აივანზე ყველანი შეკრთნენ, ბავშვიც კი რამდენი-მე წამით გაჩუმდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ესენი კიდევ უფრო შეაწუხებენ ჩემ საცოდავ ტრილლის! — წამოიძახა ტირილის ხმით ლამაზმა ქალმა — ოჰ, გაყარეთ, მალე გაყარეთ! ეს საძაგელი ჭუჭყიანი ძაღლიც იმათ მოჰყვათ? ძაღლებს ბევრი ავადმყოფობა სჭირთ ხოლმე. რაღას დგეხარ, ივანე, გაშეშებული?

ქალბატონმა სასოწარკვეთილებით და ზიზღით ამ მაწან-წალებს ცხვირსახოცი დაუქნია. გამხმარმა, ცხვირ წითელა ქალმა საშინლად თვალები დააჭყიტა, ვიღამაც მუქარით დაი-ბუღბუყა. ფრაკში გამოწყობილი კაცი გორგალივით გადმო-სრიალდა კიბიდამ:

— ეს რა სისაძაგლეა, დაისისინა გაჯავრებულმა კაცმა, ვინ მოგცათ ნება? — ვინ შემოგიშოთ აქ? წადით, დაიკარგენით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორლანმა ერთი კიდევ საცოდავათ დაიწრიპინა და გაჩუმდა.

— ჩემო კარგო ბატონო, ნება მიბოძეთ აგიხსნათ...— დაიწყო ზრდილობიანათ მოხუცმა ლადიჟკინმა.

— საჭირო არ გახლავთ, დაიკარგეთ! დაიყვირა ფრაკიანმა კაცმა.

იმის სისუქნისაგან გაბერილ სახეს ალის ფერი გადაეკრა, თვალები ისე დააბრიალა, რომ თითქოს ბუდიდამ გადმოცვენვას აპირებდნენ. ისეთი საშინელი შესახედავი იყო, რომ საწყალმა მოხუცმა უკან დაიხია.

— აიკრიბე ბარგი, სერგო, სთქვა მან და ორლანი ზურგზე წამოიგდო.—წავიდეთ!

ჯერ ათი ნაბიჯი არც კი ჰქონდათ გავლილი, რომ აივნიდამ მოისმა კიდევ უფრო შემაძრწუნებელი კივილი.

— ვაი! ვაი-ი-ი! მე! მინდა! ვაი! მომეცით! დაუძახეთ.

— კარგი, ტრილლი! ოჰ, ღმერთო ჩემო, ტრილლი! დაუძახეთ, დააბრუნეთ! დაიკვნესა ძარღვებ დასუსტებულმა ქალმა—ფუ, რა გაუგებრები რამა ხართ! ივანე, არ გესმისთ რასაც გეუბნებიან? ეხლავე დააბრუნე ის მათხოვრები!

— გესმისთ, ეი თქვენ! შარმანშჩიკო! მობრუნდი დაიყვირა აივნიდან რამდენიმე ხმამ.

ჩასუქებული მსახური ხტუნვა-ხტუნვით ბურთივით ჩამოგორდა ძირს.

— ფსტ! მემუსიკენო! გაიგონეთ! უკან! უკან დაბრუნდით. ყვიროდა ქოშ..ნით და ორივე ხელებს იქნევდა.—მოხუცო, პატივცემულო მოხუცოო და ბოლოს მოჰკიდა ხელი ბაბუას,—ბატონებს თქვენი თამაშობის ნახვა უნდათ! მალე!

— რა ამბები ხდება! ამოიოხრა მოხუცმა ლადიჟკინმა, მიუახლოვდა აივანს, მხრებიდამ თავისი ორლანი მოიხსნა და ისევ იმ ადგილას დასდგა, საიდამაც ამ რამდენიმე წუთის წინად გააგდეს.

აივანზე ხმაურობა შეწყდა. ქალბატონი პატარა ვაჟით და ოქროს სათვალებიანი კაცით მოაჯირთან დადგნენ, დანარჩენები კი ცოტა მოშორებით ბაღში. მებაღე გამოვიდა და

მეორღანოს ახლო გაჩერდა. მებალეს გვერდით საიდღამაც მეეზოვე გაჩნდა; ეს იყო გრძელ წვერა, ვიწრო შუბლიანი, ჩოფურა, დაღვრემილი სახის, კაცი ახალი ვარდის ფერი შავი წინწკლებიანი ჩითის პერანგი ეცვა.

ორღანოს ხრინწიან ხმაზე სერგომ თავისი ხალიჩა გაშალა, უცბათ გაიძრო თავის შარვალი, რომელიც ძველ პარკისაგან იყო შეკერილი და მარტო ტრიკოში *) დარჩა, რომელიც თუმცა ათას ადგილას იყო დაკონკილი, მაგრამ მაინც კოხტათ ადგა ტანზე. მარჯვეთ ხელები ტუჩებზე მიიდო და ორი კოცნა უძღვნა საზოგადოებას.

ბაბუა ერთი ხელით ორღანის ტარს ატრიალებდა და მეორე ხელით სხვადასხვა ნივთებს აწოდებდა სერგოს. სერგო თუმცა პატარა იყო, მაგრამ თავის აკრობატის თამაშობას კარგათ ასრულებდა. ცარიელ ბოთლს ჰაერში ისროდა, თეფშს მიუდგამდა და ტუჩებით იჭერდა. ოთხ პატარა ბურთს და ორ შანდანში ჩარჭობილ სანთელს ერთათ ათამაშებდა და მარჯვეთ იჭერდა ერთბაშად სამ სხვა და სხვა ნივთებს: სიგარას, ქოლგას და მარაოს ჰაერში ააგდებდა, სიგარას პირით დაიჭერდა, ქოლგა თავზე დაეხურებოდა და მარაო კი კოხტათ ქანაობდა. ბოლოს სერგო კიდევ რამდენიმე ჯერ ჰაერში გადატრიალდა, ყირაზე ხელებით სიარული დაიწყო, როცა ყველაფერი, რაც იცოდა გაათავა, ხელები ისევ ტუჩებზე მიიდო და კიდევ ორი კოცნა უძღვნა საზოგადოებას. დაღალული მივიდა ორღანთან და მოხუცის მაგივრად დაიწყო ტარის ტრიალი.

ეხლა არტოს რიგი იყო. ძაღლმა ეს კარგათ იცოდა: დახტოდა, ღმუოდა, ყეფდა და მოწყენილი თავის პატრონს შესცქეროდა. ვინ იცის, იქნება ძაღლი კიდეც ეუბნებოდა პატრონს, რომ ამისთანა სიცხეში რადროს აკრობატობაა? მოხუცი ლოდიჟკინმა ამოიძრო წელიდამ შინდის წკეპლა, „ვიცოდი, რომ აგრე იქნება!“ გულ ნაკლულად დაიყეფა ფინიამ და ზანტათ ორ ფეხზე შესდგა და პატრონს თვალებში შეხედა.

*) საცეკვაოთ ტანზე გაკრული ხორცის ფერი ჩასაცმელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკანა ფეხებზე შედექი, არტო! ეგრე, ეგრე, — იძახდა მოხუცი და წკეპლა მაღლა ეჭირა. გადატრიალდი. ეგრე, ეგრე. გადატრიალდი კიდევ, — კიდევ... ითამაშე, ითამაშე! დაჯექი! რა? არ გინდა? დაჯექი ეხლავე მე შენ ვეუბნები... ჰო-ო მაგრე! მე შენ გიჩვენებ. ეხლა, პატივსაცემ საზოგადოებას მიესალმე. აბა! არტო; ხმა მაღლა უთხრა ლოდიჟკინმა.

„ჰავ!“ დაიყეფა ზიზღით ფინიამ, მერე მოწყენილათ შეხედა თავის პატრონს. კიდევ ორჯელ დაიყეფა: ჰავ! ჰავ!

— არა, არ ესმის ჩემი ლაპარაკი ჩემს მოხუცს, ისმოდა ამ ნაღვლიან ყეფაში საყვედური.

— აი ეგრე, უწინარეს ყოვლისა ზრდილობაა საჭირო. აბა ეხლა ცოტა ვიხტუნოთ. გააგრძელა მოხუცმა. ალე! ტყუილად გამოგიყვია ენა. ალე-ჰოპ! ძალიან კარგი, აბა კიდევ... ალე — ჰოპ! ჰოპ! ჩინებულია. აი სახლში მივალთ, ჩემო ფინიავ, სტაფილოს გაჭმევ. ჰო! მართლა, შენ სტაფილო ხომ არ გიყვარს? სრულებით დამავიწყდა. აბა ეხლა აიღე ჩემი ჩაჩი და ბატონებს მოსთხოვე, იქნება იმათ უფრო გემრიელი საჭმელი გიბოძონ.

მოხუცმა ძაღლი უკანა ფეხებზე დააყენა, პირში გაქონილი ქუდი ჩაუდო. ხტუნვა, ხტუნვით აივანს მიუახლოვდა ფერ მკრთალ ქალს ხელში ქისა ეჭირა ყველას კმაყოფილება ეტყობოდათ.

— აკი გითხარი? წაუჩურჩულა მხიარულად მოხუცმა სერგოს.

— მე მკითხე: მე ჩემო ძამიავ ყველაფერი ვიცი. მანეთზე ნაკლებს არ მოგვცემენ.

ამ დროს აივანზე საშინელი კივილი მოისმა, არტოს შეეშინდა, პირიდამ ქუდი გაუვარდა და კუდ ამოძუებული თავის პატრონისაკენ გაეშურა.

— მინდა-ა-ა! გადაკაკანდა ბავშვი და ფეხებს აბრახუნებდა მე! მინდა! ძაღლი-ი-ი-ი! ტრილლის ძაღლი უნდა...

— აჰ, ღმერთო ჩემო! აჰ, ბატონო ნიკოლოზ! დამშვიდდი, ტრილლი, გეხვეწებით. ყველანი აღელვებულნი მიდიმოდიოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძაღლი! მომეცით ძაღლი! მინდა თქვე საძაგლებო, სულელებო, კიოდა ბავშვი.

— ჩემო ანგელოზო, ნუ ღელავ! ალერსით ეხვეწებოდა ცისფერ კაბიანი ქალი.—გინდა ძაღლს ხელი გადუსვა, მოეფერო? ძალიან კარგი, ჩემო სიცოცხლევ, ეხლავე. ექიმო როგორ გგონიათ, ტრილლიმ რომ ძაღლს ხელი გადუსვას საშიში ხომ არა არის რა!

— ჩემის ჰაზრით არ გირჩევდით, გაიქნია ხელი ექიმმა, თუ კარბოლით აბკურებთ კიდევ ჰო...

— ძაღლი...ი...ი...მინ...და...

— მაშ ექიმო ეხლავე უბრძანებ რომ აბკურონ.

-- კარგი, ტრილლი, ნუ სწუხარ! შენ, ეი, მოხუცო, მოიყვანე ახლოს ძაღლი. ნუ გეშინიან ფულს გაჩუქებენ. შენი ძაღლი ავადმყოფი ხომ არ არის? ცოფიანი ხომ არ არის?

რათ მინდა ალერსი! ღრიალებდა ტრილლი, ცხვირიდამ და პირიდამ დორბლი გადმოსდიოდა.—მინდა რომ ჩემი იყოს! სულელებო, საძაგლებო! მინდა მე ვეთამაშო! ჩემი საკუთრება იყოს

— ყური დამიგდე, მოხუცო, მოდი ახლოს, გამწარებული ყვიროდა ქალბატონი. ოჰ, ტრილლი შენის ყვირილით დედა შენს მოჰკლავ. რაზედ შემოუშვეს ეს საზიზღარი მემუსიკენი! ახლოს მოდი. სულ ახლოს, არ გესმის რასაც გეუბნებიან... ეგრე... ნუ სწუხარ, ტრილლი, დედა ყველა შენ სურვილს შეასრულებს. გეხვეწები, მისს, დაამშვიდე ბავშვი... ექიმო... გეხვეწები. რამდენი გინდა მოხუცო?

— რასაც გამოიმეტებთ, ქალბატონო, თქვენო მაღალ კეთილ აღმატებულებავ... ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ, ყოველი საჩუქარი ჩვენთვის დიდი მოწყალებაა... იმედი მაქვს მოხუცს არ დაჩაგრამთ!

-- ოჰ როგორი გაუგებარი ხარ! ტრილლი შენი ჭირიმე ყელი ხომ არა გტკივა. ბებერო, განა არ გესმის რომ ძაღლი შენია და არა ჩემი... მაშ რამდენი გინდა? ათი? თხუთმეტი? ოცი?

— ა ა-ა მინდა! მომეცით ეხლავე ძაღლი, მომეცით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვიროდა ბავშვი და ფეხებს გაბერილ მოსამსახურეს მუცელში ურტყამდა.

— როგორ... უკაცრავოდ, თქვენო ბრწყინვალებავ,— მოწიწებით ჰკითხა ლადიჟკინმა. მე —ერთი სულელი კაცი ვარ... ერთბაშად ვერ მივხვდები ხოლმე .. ცოტა მძიმეთაც მესმის... როგორ! რას მიბრძანებთ? ძაღლი რა ღირს?

— ოჰ, ღმერთო ჩემო, თქვენ მგონი განგებ ისულელებთ თავს —გაცხარებით სთქვა ახალ-გაზდა ქალმა.—გამდელო, ტრილლის წყალი დაალევინე მალე. მე თქვენ გკითხავთ ქრისტიანულათ, როგორ გაჰყიდით მაგ ძაღლს...

— ძაღლი! ძაღლი! წინანდელზე უფრო ღრიალებდა ბავშვი, ლადიჟკინს ეწყინა. ქუდი დაიხურა.

— ქალბატონო, მე ძაღლებით არ ვაჭრობ, უპასუხა მან ცივად და ღირსეულად·—ეს ძაღლი კი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ორივეს და ხელი გაიშვირა სერგოსაკენ, ორივეს გვარჩენს. ამისი გაყიდვა შეუძლებელია.

ტრილლი კი უფრო და უფრო წიოდა. წყალი მიუტანეს, მაგრამ მთელი ჭიქა თავის მასწავლებელ ქალს ცხვირ-პირში შეასხა.

— კარგა გაიგონე, შე უგუნურო, მოხუცო! არ არის იმისთანა ნივთი, რომ არ გაიყიდებოდეს. ჩაციებოდა ქალი და საფეთქლებზე ხელებს იფარებდა. მისს, გაიწმიდეთ მალე პირის სახე და მალე ჩემი თავის ტკივილის წამალი მომიტანეთ. იქნება თქვენი ძაღლი ასი მანეთი ღირს? ორასი? სამასი? მიპასუხეთ რაღა მალე, რამ გაგაშეშათ ექიმო, უთხარით რამე.

— წავიდეთ სერგო, დაღვრემილი წაიბუტბუტა ლადიჟკინმა. არტო მოდი აქ!

— შენ ეი მოიცადე, ბრძანებლობის კილოთი უთხრა ოქროს სათვალეებიანმა..—შენ კი ნუ იპრანჭები, ჩემო კარგო, ამას კი გეტყვი, რომ შენი ძაღლის ფასი შენთან ერთად ათი მანეთია. კარგად მოიფიქრე, შე ვირო შენა, რამდენს გაძლევენ!

— მადლობას მოგახსენებთ, ბატონო, ლადიჟკინმა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ორლანი ზურგზე წამოიგდო.—უნდა მოგახსენოთ მაგის გაყიდვა არ შეიძლება. სჯობია რომ სხვა ძაღლი მოძებნოთ.. მშვიდობით.., სერგო, წინ წადი!

— მერე ბაშმორთი გაქვს? დაიღრიალა ექიმმა,—მე თქვენ გიცნობთ რა ავაზაკებიცა ხართ!

— მეეზოვე! სვიმონ! გაყარე ეგენი! დაიყვირა გაბრაზებულმა ქალბატონმა. ვარდის ფერ პერანგიანი დაღვრემილი მეეზოვე მიუახლოვდა ამათ. აივანზე ბავშვის საზარელი ღრიალი აყრუებდა არე მარეს. სერგოს და ლადიჟკინს ღლარ დაუცდიათ. სირბილით კარებისაკენ მიეშურებოდნენ. მეეზოვე უკან მისდევდა და მოხუცს ზურგში ხელსა ჰკრავდა:

— რას დაეთრევით, თქვე მაწანწალებო! ღმერთს მადლობა შესწირე, რომ კარგი მუჯლუგუნები არ მოგხვდათ, შენ,ბებერო, მეორეჯერ აღარ მოგერიდებით, თქვე მაწანწალებო! თქვენა!

დიდხანს მოხუცი და ბავშვი ჩუმათ მიდიოდნენ, მერე ერთმანერთს შეხედეს და გაეცინათ.

— მაგრე ბაბუა ლადიჟკინ, შენ ყველაფერი იცი, განა? დაცინვით უთხრა სერგომ.

— დიაღ ძამიავ, ძალიან გაგვაცურეს, თავის ქნევით იძახდა მოხუცი.—ავი ბავშვი ყოფილა. დასწყევლოს ღმერთმა, მაგისთანა საშინელება როგორ გამოზარდეს? ოცდა ხუთი კაცი იმის ნებაზე დაიარება. ძაღლი მიართვით! მალე მზე და მთვარესაც მოითხოვს, რომ ციდამ ჩამოიღონ და წინ დაულაგონ. ჩემი იყოს, მე უჩვენებდი იმას სეირს. მოდი ჩემო ფინიავ. საოცარი ცუდი დღე დაგვიდგა დღეს.

— ამაზე უკეთესს რასა ვნახავდით! გესლიანათ იძახდა სერგო.—ერთმა ქალბატონმა კაბა გვაჩუქა, მეორემ მანეთი მოგვცა. შენ ყველაფერი იცი, წინათვე ყველაფერს გაიგებ.

— ეი, შენ ხმა ჩაიწყვიტე, თორემ ხომ იცი... წაიბუტბუტა მოხუცმა. მახსოვს, მეეზოვეს როგორ გამოექეცი? მე მეგონა რომ ველარ დაგეწეოდი. რა უკმეხი მეეზოვე ჰყავთ.

ბაღიდამ რომ გამოვიდნენ ესენი პირდაპირ ზღვისაკენ დაეშვნენ. მზის ლორები მზეზე თამაშობდნენ შორს ზღვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერ სივრცეში თეთრი იალქნები მოსჩანდა.

— აქ ვიბანაოთ, სთქვა გადაწყვეტილი კილოთი სერგომ და სიარულშივე ტანისამოსის გაძრობა დაიწყო. — მოდი ორლანის ჩამოღებას გიშველი.

სერგო უცბათ გაშიშვლდა, მზისაგან დამწვარ ტანზე ხელები შემოიკრა და წყალში გადავარდა. წყალი აქაფდა ბაბუა ლადჟიკინი კი ნელ ნელა იძრობდა ტანისამოსს და ალერსით შესცქეროდა სერგოს.

„ბავშვი თან და თან იზრდება, ფიქრობდა ლადიჟკინი, მართალია, თუმცა ძალიან გამხდარია—ძვალი და ტყავია, მაგრამ ჯანმრთელი და ღონიერი ვაჟკაცი დადგება.

— ეი, სერგო, ნამეტანი შორს ნუ შესცურდები თორემ ზღვის ღორი გადაგყლაპავს.

— ნუ გეშინიან კუდში ვტაცებ ხელს, დაიყვირა შორიდამ სერგომ, ბაბუა დიდხანს იდგა ზეზე და დიდი სიფრთხილით ჩავიდა წყალში. დიდი ხნის ორლანის თრევით კუზები ჰქონდა ამოსული.

— ბაბუა ლადიჟკინ, მიყურე! დაიყვირა სერგომ, ის რამდენჯერმე ყირამალა გადატრიალდა წყალში, ფეხები მხარზე გადაიგდო და ისე ცურავდა, ლადიჟკინი ფრთხილად ჰყუმპალაობდა და შეშინებული დაუყვირა.

— ეი, შენ, გოჭო, შენა, ნუ ცელქობ, თორემ მე შენ გიჩვენებ. არტო ზღვის პირას დახტოდა და ყეფდა. იმას აწუხებდა, რომ სერგო ისე შორს გაცურდა. რა საჭიროა რომ წყალში თავის სიმამაცეს იჩენს? ღელავდა ფინია. დედამიწა რისთვის არის? იარე რამდენიც გინდა, საშიში არ არის!

თითონაც შევიდა წყალში, წყალი ალოკა, მაგრამ როგორც ეტყობა მლაშე იყო და არ მოეწონა. ისევ გამოვიდა და სერგოს ყეფა დაუწყო.

— ეი სერგო გამოდი, გეყოფა დაუყვირა მოხუცმა.

— ეხლავე, ბაბუა, უყურე როგორ ხომალდივით მოვცურავ, ზღვის პირას მოცურდა და ამოსვლამდინ არტოს ხელი მოჰკიდა და წყალში გადისროლა და თითონაც უკან ზღვაში შებრუნდა. ძაღლი საჩქაროზედ უკან გამობრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მგონი ვიღაც მოდის, სერგო, სთქვა ლოდიჟკინმა და ზემოთ გაიყურა.

მართლაც ბილიკზე ვიღაც მოდიოდა, რაღასაც ყვიროდა და ხელებს იქნევდა. ეს იყო ვარდის ფერ პერანგიანი მეეზოვე, რომელიც ამ ნახევარ საათის წინად იმათ დიდის მუქარით ბაღიდან აგდებდა.

— ნეტაი რა უნდა?—გაკვირვებით კითხულობდა მოხუცი.

ეკ. მ—სა.

(დასასრული შემდეგ)



# პურის ხე.



ური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღესო, ნათქვამია საუფლო ლოცვაში, რომელიც ასწავლა მაცხოვარმა თავის მოწაფეებს. რასაკვირველია, ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ მაცხოვარს ესწავლებინოს, ღმერთსა სთხოვეთ გამომცხვარი პური, კარგად გამოშუშებული, რომ პირში ჩადების და შეჭმის მეტი არაფერი უნდოდესო, — სრულიადაც არა. ამ სიტყვებს სხვა აზრი აქვსთ. ბუნებას დაუჯილდოვებია ყოველი კუთხე დედა-მიწისა. თუ ყოველ დღეს იშრომებს ადამიანი და ისწავლის, რომელი ნივთი, რომელი მცენარე ან ცხოველი რაშია გამოსადეგი, მაშინ იგი უეჭველად მოიპოვებს სასმელ-საჭმელსაც და ყველაფერს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის. ამასთან უნდა გვახსოვდეს, ვინც უფრო ბეჯითია, ვინც უფრო მეტს ისწავლის და იშრომებს, ის უფრო უკეთესად მოაწყობს თავის ცხოვრებას. ცხელი ქვეყნების ზოგიერთი ხალხები ძალიან ჩამორჩენიან უკან სხვა ხალხებს შრომითა და სწავლით. ამიტომ მათი ცხოვრება მეტად გაუნათლებელია, გაჭირვებულია. საზრდოს კი შოვობენ ბუნების წყალობით, მაგრამ ყოფა-ცხოვრებით ველურ მდგომარეობაში არიან. აი გიამბობთ, რით ირჩენენ იგინი თავს, როგორი პურით საზრდოობენ.

თავდაპირველად ევროპიელები რომ მივიდნენ ცხელ ქვეყნებში, ნახეს, რომ არც ხარი ჰყავდათ იქ, არც ძროხა, არც ცხენი და არც სხვა რამ იმისთანა შინაური საქონელი, ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა გვყავს. ხორბალი როდი მოჰყავთ იქ და არ იციან ჩვენსავით მიწის მუშაობა. იქაურ მკვიდრ მცხოვრებთან რომ მიხვიდე სტუმრად, ჩვენსავით თეთრ ფუნთუშა პურს ვერ მო-



პურის ხე.

გართმევენ სუფრაზე. მათი ყანა არის პურის ხე; მათი პურია ამ ხის ნაყოფი. ეს ხე ხშირ შტოებიანია და სქლად არის შემოსილი ფოთლებითა. ტანად საკმაოდ დიდი იზრდება. ფოთლები ნიკვებიანი აქვს მუხის ფოთლების მსგავსად *) და ნაყოფს ისხამს არა მარტო შტოებზე, თითონ ტანზედაც. მოყვანილობითა და სიდიდით ნაყოფი ნესვსა ჰგავს; სიმძიმით ორი-სამი გირვანქა იქნება. როდესაც უმწიფარია ნაყოფი, მწვანე ფერი აქვს და თუ მწიფეა, მაშინ ყვითელია. გარსი ნაყოფისა, ანუ კანი, სქელია და ხორკლებიანი, თითქო მეჭეჭები ასხიაო ირგვლივ; გული აქვს რბილი. როდესაც შესწვავენ ხოლმე ნაკვერცხლებზე, გული ფქვილივით გაუხდება,

*) ისეთი გვარიც არის ხოლმე პურის ხე, რომელსაც ერთიანი ფოთლები აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შემწვარ კარტოფილს. მწიფე ნაყოფი შეიძლება ნედლადაც სჭამოს კაცმა, მხოლოდ ვერ არის კარგი გემრიელი; უმწიფარს კი არა სჭამენ ნედლად. უფრო გემრიელი საჭმელია პური, რომელიც კეთდება ამ ნაყოფისაგან. აი როგორ კეთდება: მოჰკრეფენ ხოლმე ნაყოფს, კანს შემოაცლიან და ჩაჰყრიან ორმოში; ორმო ქვით არის გამოფენილი. თავზე ფოთლებს დააფარებენ და ქვებს დააწყობენ. ამნაირად შენახული ნაყოფის გული გარდაიქცევა ცომად და გაფუვდება. ამ ცომიდან აცხობენ პურს. ამოიღებენ ორმოდან, რამდენიც საჭიროა, ცომს ჯერ მოაგუნდავებენ, მერმე გააბრტყელებენ, დააკრავენ გახურებულ ბრტყელ ქვებზე, ანუ კეცებზე და ზევიდგან ფოთლებს დააფარებენ. ამ სახით გამომცხვარი ნაყოფის გული გემრიელია და მოგვაგონებს პურს.

პურის ხე ცოცხლობს ოთხმოც წლამდის. ნაყოფს იძლევა ყოველ წლივ რვა თვის განმავალობაში. იმისთანა მოსხმა იცის, რომ ორი ხე იძლევა წლის სარჩოს ერთის კაცისათვის. ათიოდე ხე მთელს სახლობას შეინახავს ერთს წელიწადს. ეს მცენარე სხვაფრივადაც სასარგებლოა. მისგან სთლიან ძელებს, ფიცრებს და აკეთებენ სხვადასხვა ავეჯეულობას. წვენი ხისა წებოვანია და იხმარება როგორც ფისი. ქორფა ქერქისაგან აკეთებენ ჭილობებს და ამავე ქერქის ბეწვებისაგან მატერიასაც ქსოვენ ტანისამოსისათვის.

სამშობლო პურის ხისა არის სამხრეთი აზია. იქიდან გავრცელებულია მელანეზიის და ოკეანიის კუნძულებზე (რომელნიც მდებარებენ ავსტრალიიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეებზე), სადაც სცხოვრებენ ველური პაპუასები და პოლინეზიელები.

გულის გასაგმირალი და ყრმათათვის საყურადღებო ზღაპრული თქმულება არის ერთი გავრცელებული ამ ხალხებში. როდისღაც უძველეს დროში საოცარი შიმშილობა ეწვია თურმე იმ ქვეყნებს. აურაცხელი ხალხი იმსხვერპლა ამ უბედურობამ. ანგარიში არ ჰქონდა, რამდენი ბავში დარჩა ობლად, უდედ-მამოდ და რამდენს მშობელს დაეთუთქა გული შვილების დაკარგვით. იმ დროს იყო ერთი ვინმე ქვრივი მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკაცი, რომელსაც შიმშილმა მოუკლა ცოლი. დარჩა რამდენიმე შვილი. არ იცოდა საწყალმა, რა ექნა. მზად იყო თავი არ დაეზოგა, ოღონდ კი არ მოსწრებოდა შვილების სიკვდილს უქმელობისაგან.

— ჩემო ძვირფასო შვილებო, — უთხრა მამამ შვილებს, — თქვენზე უკეთესი მე არავინ გამაჩნია! თქვენა ხართ ჩემი თვალის სინათლე, ჩემი სიცოცხლე. რაც უნდა დამემართოს, არაფერს მოვერიდები, ოღონდ კი ვიშოვო რამე და თქვენ გამოგკვებოთ. სიცოცხლესაც არ დავიშურებ თქვენთვის! გჯერათ თუ არა ჩემი სიტყვა?

— გვჯერა, მამილო, გვჯერა!

— თქვენც ისე გიყვარვართ მე, როგორც მე თქვენ მიყვარხართ?

— გვიყვარხარ, მამილო, ძალიან გვიყვარხარ! — შესძახეს ერთხმად.

— მაშ თუ ჩემი სიყვარული გაქვსთ, რაც მე გითხრათ, ის აასრულეთ.

— კარგი, მამილო, გვიბრძანე, მზადა ვართ ავასრულოთ.

— აბა, წამოდით ჩემთან, — უთხრა მამამ შვილებს, წაიყვანა თან და ავიდნენ ერთის მთის წვერზე.

როდესაც მაღლა ავიდნენ, გაჩერდა იქ მამა და უთხრა შვილებს: ,,აი აქ, სადაც მე ვდგევარ, ამოსთხარეთ ორმო და ზეზეღა დამმარხეთ ორმოში. ხვალ დილით კი ადრე მოდით აქ და შეიტყვეთ ჩემი ამბავი". შვილები მეტად შეაწუხა ამისთანა სიტყვამ და ცრემლის ნაკადული გადმოსქდათ თვალთაგან, მაგრამ ვერ გასტეხეს მაინც მამისადმი მიცემული სიტყვა და აასრულეს მისი ბრძანება. მეორე დღეს დილით ადრე მოვიდნენ შვილები და რა ნახეს? მათი მამის სხეული ხედ გადაქცეულიყო; ფეხები ფესვებად ქცეულიყო, ხელები — შტოებად, თითები — ფოთლებად, თავი კი ნაყოფად გარდაქცეულიყო და მოსხმოდა ხეს გემრიელი და ნოყიერი ხილი. ყმაწვილები განცვიფრებულნი უცქეროდნენ თურმე საკვირველ ხეს. ამ დროს დილის ნიავმა შეარხია ხის შტოები და დაჰნახა განცვიფრებული პირის სახე ობლებისა. ეს ნამი იყო გამოსალმება შვილებთან თავდადებულის მამისა. ამნაირად გაჩნდა თავდაპირველად პურის ხეო, მოგვითხრობენ ველური ადამიანები და მას შემდეგ შიმშილი აღარ ყოფილა ჩვენს ქვეყანაშიო.

ალექსი ჭიჭინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექიმი ისააკის განსაცდელი.

რუბაკინისა.

(დასასრული)

ისააკს თვალწინ წარმოუდგა ნათლათ, როგორ საბრალო შვილებს სისხლი გამოუშვა, როგორ თავისივე ხელით დაღუპა ისინი. და თავზარი დაეცა.

— შვილებო, ჩემო შვილებო, ამოიკვნესა მწარეთ მან.

გული საშინლათ უფანცქალებდა, თავის სახლს რომ უახლოვდებოდა. დიდი ხანი იყო არ ენახა ეს ნაცნობი ადგილები. ხუთი წელიწადი კაი ხანი იყო, ვილას ეხსომება ისააკ ჯემსი? განა კიდევ შესაძლოა იცნონ ის? ხუთი წლის ტანჯვამ და ვაებამ ისე დააბერეს, თითქოს ასი წელიწადი გავიდა: თმები სულ გათეთრებოდა, წელში მოხრილიყო, სახე დაღმექოდა. ნაღველი რა ხეირს დააყრიდა.

ისააკი მიუახლოვდა თავის სახლს. შესავალ კარებში იჯდა თეთრი ტანისამოსით დედაკაცი, გვერდით უჯდა ქალარა მოხუცი. ისააკმა იცნო, რომ ეს მისი ცოლია და მოხუცებული აარონი.

— გამარჯვება, ლია, უთხრა ისააკმა და თან გული ისე უცემდა, თითქოს ბუდიდან უნდა გადმოუვარდესო.

ლიამ ვერ იცნო ქმრის ხმა.

— გაგიმარჯოს, ვინც უნდა იყო, — კეთილი იყოს შენი მოსვლა.

მოხუცმა აარონმა შეხედა თუ არა ისააკს, მაშინვე იცნო.

— შენა ხარ ექიმო ისააკ? შესძახა მან.

ლიამ გაიგო თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე წამოხტა ფეხზე, სახე გაუფითრდა, მთლად აცახცახდა, ხელები გაუწვდინა ისააკს, ქმარიც საჩქაროთ მიუახლოვდა, მაგრამ შეხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ არა იმას სახეში, ერთი საშინლათ ამოიკვნესა.

— ლია, ჩემო ძვირფასო! ჩემო თვალის ჩინო! შესძახა მან,—დაბრმავებულხარ! ღმერთო ჩემო, რატომ არ მაკმარე ტანჯვა. როდის დაგემართა ეს უბედურება.

ლიამ ამოუშვა ქვითინი, ისე აღელვდა, რომ ხმა ველარ ამოიღო, გონება დაჰკარგა და უგრძნობლათ დაეცა ძირს. ისააკმა დაიწყო მწარეთ ტირილი, აარონმაც ბლომათ დაღვარა ცრემლები. შემოვიდა მეზობლობა, რაკი გაიგო რომ ისააკი დაბრუნებულა. ლია ასწიეს და შეიტანეს სახლში. ქალი მალე მოვიდა გონზე.

— ღმერთმა თავისი მოწყალება არ მომაკლო, ქმარი დამიბრუნა! თქვა მან.

ცოლს ერთი სიტყვითაც არ უთქვამს მისთვის საყვედური. ისააკი მოუჯდა მას გვერდით, გული ნაღვლით ავსებოდა, ვერ შეეხედა ცოლისთვის, რომლის სახეზე ტანჯვა გამოიხატებოდა და თვალებზე ბისტი ჰქონდა გადაფარებული.

ყველამ შეიტყო, ოთახი გაივსო ნათესავებით და ნაცნობებით. ისააკმა უამბო, რა ტანჯვა და მწუხარება გამოიარა და რამდენი იხეტიალა.

ნაცნობებმა უთხრეს:

— ღმერთმა დაგსაჯა შენ, ისააკ ჯემს, შვილების სიკვდილით, შენ არ უნდა მოგერჩინა პაპი. იგი იყო ჩვენი ხალხის მტერი, მან ბევრი ბოროტება ჩაიდინა ურიების წინააღმდეგ... რად მოარჩინე?

ეს სიტყვები რომ გაიგო, ისააკმა ცრემლები შეიწმინდა. —განა არ უნდა მომერჩინა? როგორ! ესენი ამას ესაყვედურებიან?

— ექიმები იმიტომ არიან, უთხრა ისააკმა, რომ ყველა ავათმყოფები განკურნონ, ადამიანს ტანჯვა ააცდინონ!

— შენ არ უნდა გადაგესხა სისხლი, უარი უნდა გეთქვა. საზოგადოთ სისხლის გადასხმის მოგონება სისულელეა, უპასუხეს იმათ.

— ჩემი გამოგონება სულაც სისულელე არ არი, არც ჩემი მოგონილია. მე მხოლოთ თითონ გამოვცადე და ჩემი თვალებით ვნახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისააკს გაახსენდა, როგორ ერთი კურდღლიდან მეორე კურდღელს გადუსხა სისხლი, რანაირად უხაროდა, როდესაც ათიოდეჯერ მაინც გამოსცადა. ახლა რა საბუთებით შეეძლო დაეჯერებინა ეს ხალხი.

— შვილებო, ჩემო შვილებო! ტიროდა ისააკი,—განა ჭეშმარიტება, რომელიც მე გამოვიკვლიე დამნაშავეა თქვენ სიკვდილში? ან იმაშია დამნაშავე, რომ ვიგრძენ სიბრალული პაპისადმი. მე ვარ, მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. მხოლოდ ჩემი სუსტი მკლავები, სუსტი ხელები, ჩემი სუსტი გონება, ჩემი ულონობა არის დამნაშავე.

— არა, უპასუხებდენ, შეუძლებელია ერთი კაცისაგან მეორეში სისხლის გადაღება.

— ძალიანაც არის შესაძლებელი. ასჯერ და ათასჯერ გავიმეორებ ამას. ერთხელ რომ უბედურება მოხდეს, მაგითი ჭეშმარიტება არ დაირღვევა. ნაჯახის უშნო ხმარებით რომ ხელი დამიშავდეს, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ნაჯახი ხელში არავინ არ უნდა აიღოს.

დიდხანს ეჯიბრებოდა ისააკი თავის ნათესავებს და ნაცნობებს. ლია ხმას არ იღებდა, ხოლო შვილების მოგონებაზე სულ ტიროდა. ქმარს არ ესაყვედურებოდა, მაგრამ შვილების დაკარგვა კი ეტყობოდა დაუვიწყარ მწუხარებათ ჰქონდა. მოკამათენი ბოლოს წავიდ-წამოვიდენ. ისააკი თავის სიტყვას მტკიცეთ ადგა, მაგრამ არც იმათ დაუთმეს. წასვლის წინეთ უთხრეს:

— შენ ისეთი უბედურება გადაგხდა თავს, რომ იმედია ამას იქით შენ გამოკვლევებს აღარ სცდი შინაურებზე.

—

ისააკს ძლივს კარგი დღეები დაუდგა. იგი თავის სახლში იყო, თავის ცოლთან. ადრინდელივით იჯდა ხოლმე თავის სამუშაო ოთახში, კითხულობდა სხვა და სხვა ენებზე სამეცნიერო წიგნებს და წამლობდა ავათმყოფებს. ახლა ჯანითაც კარგათ იყო და ჭკუა-გონებაც ადრინდელი დაუბრუნდა, მხოლოთ სიცოცხლეს უმწარებდა შვილების დაკარგვას რომ მოიგონებდა და დაიწყებდა გოდებას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვილებო, ჩემო შვილებო? რატომ თქვენ კი არა ხართ ჩვენთან.

მას სახელი უფრო და უფრო გაეთქვა, როგორც მცოდნე და დახელოვნებული ექიმისა, რადგან ბევრს სასიკვდილოთ განწირულებს არჩენდა.

ისააკი თან სულ იმ ფიქრში იყო, რომ ლიას როგორმე თვალები აუხილოს—გადუხსნას თვალებიდან თეთრათ გადაფარებული ბისტი.

ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ არავის უმხელდა. ჩაიკეტებოდა ხოლმე მთელი დღე-ღამეობით თავის ოთახში, კითხულობდა წიგნებს, სადაც აწერილი იყო თვალების სხვა და სხვა ავათმყოფობა და ზოგჯერ მკვდარ კურდღლების და ძაღლების თვალებს დაუწყებდა შინჯვას და დაჰკრას, რომ შეეტყო მათი მომართულობა.

ბოლოს სადღაც იშოვა ერთი ბებერი კატა, რომელსაც თვალებზე ბისტი ჰქონდა გადაფარებული. ისააკს ძალიან გაეხარდა და იფიქრა: მოდი დანით გადავაცლი თვალებიდან ბისტს.

კატა მაგიდაზე მაგრათ დააკრა, აიღო დანა და ჯერ ერთ თვალს მოაშორა ბისტი და მერე მეორეს.

გამოცდა მშვენივრათ მოხერხდა. კატას აეხილა თვალები.

რამდენსამე ხანს შემდეგ მან კიდევ იშოვა ბრმა კატა, ისიც გააკრა მაგიდაზე და თვალები აუხილა. ბევრჯელ გამოსცადა და იშვიათათ თუ აუცდებოდა დანა. ყოველ გამოცდის შემდეგ ისააკი ფიქრობდა: „მგონი რომ ახლა კი შევიძლო. ჩემი ხელი მარჯვეთ მუშაობს!“

მაგრამ დრო გადიოდა. ისააკი ვერა ბედავდა: სჯობს ცოტა კიდევ მოვიცადო—ხელი გამიმაგრდესო.

ნახევარი წელიწადი სულ გამოცდაში ატარებდა და არ ჩქარობდა. გავლილმა უბედურებამ სიფრთხილეს მიაჩვია. ბოლოს შევიდა ლიას ოთახში და გაბედვით უთხრა:

— ლია, გიხაროდეს. მე შემიძლია თვალები აგიხილო!

ლიას ძალიან გაუკვირდა ეს სიტყვები რომ გაიგო.

„გონება ხომ არ დაეკარგა ხელახლათ!“ იფიქრა ქალმა.

— შენ, ლია, კიდევ ნახავ მზეს, ცას, მწვანე ველს, მინდორს, განაგრძო ისააკმა.

მაშინ კი მიხვდა ლია, რომ ქმარი არ ხუმრობს, გაფითრდა, ატირდა და ცრემლებ მორეულმა ჰკითხა:

— განა შენი თავის იმედი გაქვს? ნუ თუ გავლილმა სიფრთხილე არ გასწავლა?

— მართალია, ჩემო ძვირფასო, უპასუხა ისააკმა, რომ გამოვლილმა ტანჯვამ სიფრთხილე მასწავლა, მაგრამ ადრინდელივით მწამს, რომ ჭეშმარიტება ყოველთვის და ყველასთვის ჭეშმარიტათ დარჩება და გაუძლებს ყოველ განსაცდელს. მე ვიცი, რასაც ვამბობ, დიდი ხანია ამაზე ვმუშაობ და ვფიქრობ, თუ როგორ აგიხილო თვალები.

ლიას ახლაც, როგორც ადრე, ძალიან უყვარდა თავისი ქმარი და სწამდა მისი სიტყვა.

— რაც გინდა მიყავი, თქვა მან,— მე მზათა ვარ, ყველაფერი ავიტანო, ოღონდ შენ კი დაგინახო.

— კარგი. შენ ხვალ თვალები ახილული გექნება.

მეორე დილა ადრიანათ ისააკმა გააწვინა ლია ტახტზე და უთხრა:

— ლია, მოიგროვე რაც ძალა გაქვს და რამდენიმე წუთს მოითმინე.

აიღო ხელში საექიმო მახვილი დანა და თავისი ცოლის თვალს მიადო. ხელი არ აუკანკალდა. მარჯვეთ და სწრაფათ გადახსნა მარცხენა თვალიდან ბისტი, ლიამ არ დაიყვირა, არც შეინძრა.— და ამ თვალით დაინახა ქმარი.

— საყვარელო! შეჰკივლა მან,— სურვილი ამისრულდა: მე გიხილე კიდევ!

ხელები გაუწვდინა ქმარს და უნდოდა ადგომა, მაგრამ ისააკმა დაიკავა.

— ლია, მე მარტო ნახევრათ გავათავე საქმე, თქვა მან, აიღო დანა, ახლა მარჯვენა თვალიდან გადახსნა ბისტი. ლიას ორივე თვალები აეხილა.

მაშინ ისააკმა თვალები შეუხვია წამლით და უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლია, ჯერ არა ხარ მორჩენილი: შენ უნდა რამდენიმე დღეს იწვე უძრავათ, თვალები შეხვეული გექნება, სანამ დაიარებული ადგილები სრულებით არ მოგირჩება.

ბოლოს, როდესაც წამლობა გათავდა ისააკმა უთხრა:

— ახლა, ლია, შენ ადრინდელივით ნახავ ქვეყნიერებას.

ლიამ შეხედა ქმარს, სიხარულით იტირა, დაიჩოქა და დაუწყო ხელებზე კოცნა.

მთელ ქალაქს მოედო ამბავი, რომ ისააკ ჯემსმა ცოლს აუხილა თვალები და ჰკვირობდენ როგორც მის ხელოვნურ წამლობას, ისე უფრო მის გაბედულობას, რომ არ შეეშინდა და ცოლზე სცადა თავის გამოკვლევა. ზოგს ის მიაჩნდათ დიდებულ კაცათ, ზოგი კი გიჟათ სთვლიდა. სახელი მისი თანდათან გაითქვა.

ერთხელ მასთან მოვიდა მდიდრულათ ჩაცმული ქალი და ისააკს წინ მუხლი მოიდრიკა.

— ისააკ ჯემსო, უთხრა მან, — თუ გწამს ყოვლათ შემძლე ღმერთი და ყველა-წმინდა — გადაარჩინე ჩემი შვილი სიკვდილს.

ისააკმა ქალი ააყენა ფეხზე და ჰკითხა შვილის ამბავი. იმანაც ასე უამბო: „მტრებმა მკვლელები მიუსიეს ჩემ შვილს და დასჭრეს, ყმაწვილი დაცემულიყო მიწაზე და სისხლით დაცლილიყო. მეორე დღეა, რაც ისა წევს უძრავათ — მკვდარივით. ექიმებმა ხელი აიღეს, მორჩენის იმედი დაჰკარგეს.

— დაიხსენ შვილი სიკვდილიდან, ემუდარებოდა ქალი ისააკს, — გადუღე მას ჩემი სისხლი. დეე, მე მოვკვდე, ოღონდ ის ცოცხალი დარჩეს!

ისააკმა უთხრა, რომ სისხლის გადაღება შეუძლია, მხოლოდ საშიშოა — ქალი მაინც თავისას არ იშლიდა და ევედრებოდა.

— პაპი ინოკენტი მერვესაგან ექიმებმა ხელი აიღეს, ეუბნებოდა ის ისააკს, — და შენ კი ის სიკვდილს გადაარჩინე, სამი წელიწადი კიდევ იცოცხლა შენ წამლობის შემდეგ. მხოლოთ შენ შეგიძლია ჩემი შვილის მორჩენა... გადამირჩინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილს, გევედრები! არაფერს არ დავზოგავ და ღირსეულათ დაგაჯილდოვებ...

ისააკს ეცოდებოდა საბრალო ქალი, მაგრამ მაინც ვერ ბედავდა. თვალ წინ წარმოუდგა, თითქოს გუშინ ყოფილიყოს, თავისი წყვილი ვაჟი-შვილის სიკვდილი, რა საშინელი ტანჯვით მოკვდენ... მაგრამ დედის სახეზე ისეთი მწუხარება და სასოწარკვეთილება გამოიხატებოდა, რომ ისააკმა ვეღარ უთხრა უარი.

— არ მინდა შენი დაჯილდოება, თქვა მან, — მე გადაუღებ შენ შვილს შენ სისხლს, მაგრამ თუ თქვენგანი ერთ ერთი მოკვდეს ჩემი ბრალი არ იქნება.

ქალს ძალიან გაეხარდა.

— კარგი, — თქვა მან, — უშენოთ ჩემი შვილი მაინც მოკვდება, მე კი ჩემ სიცოცხლეს შვილისთვის არ დავიშურებ.

ისააკმა აიღო საექიმო იარაღები და წავიდა ქალის სახლში. მიიყვანეს ავათმყოფთან. მან დაინახა მშვენიერი ჭაბუკი, რომელიც იწვა წმინდა სანთელივით გაყვითლებული, არც თუ ეძინა და არც თუ მკვდარი იყო.

ისააკი შეუდგა საქმეს, დაიწყო სისხლის გადაღება დედიდან. ხელები სულაც არ აკანკალებია. მშვიდობიანათ გათავდა სისხლის გადაღება. შვილიც და დედაც ცოცხალნი დარჩენ, შვილის ძარღვებში დაიწყო დენა დედის სისხლმა და ამაზე გამოცოცხლდა, რაკი სისხლი მოემატა ღონეც მოემატა.

მთელი ღამე ისააკ ჯემსი არ მოშორებია ახალგაზრდა ყმაწვილს. როდესაც ოთახში შემოანათა მზის პირველმა სხივებმა ისააკი წამოდგა და გამოესალმა:

— ახლა, — თქვა მან, მე დამშვიდებული წავალ სახლში: დარწმუნებული ვარ, რომ ორივენი ცოცხალნი დარჩებით.

ბედნიერმა დედამ, სიხარულით ცრემლებ მორეულმა მადლობა გადუხადა.

— მე კი ნუ მეუბნები, მადლობას. ღმერთს შესწირე მადლობა — უპასუხა ისააკმა, — ღმერთია ღირსი მადლობისა, რადგან მისი მეოხებით ხალხისთვის სასარგებლო გამოკვლევა გამოვიგონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისააკი კმაყოფილი და დამშვიდებული წავიდა სახლში. მისი გამოკვლევით დამტკიცდა რომ ჭეშმარიტება დარჩება ჭეშმარიტებათ და იმ საშინელმა განსაცდელმა, რომელიც ისააკს წილათ ხვდა, სულაც ეჭვი არ აალებინა, რომ იგი მართალი არ უნდა იყოს.

სახლში დაბრუნდა თუ არა ლიას უთხრა:

— ლია, გიხაროდეს. მე მარჯვეთ გადულე სისხლი.

— ხომ ხედავ—ჭეშმარიტება ყოველთვის დარჩება ჭეშმარიტებათ და გაუძლებს ყოველ გვარ განსაცდელს. ერთი უხეირო გამოცდა ვერ შეარყევს ჭეშმარიტებას. მართალია რომ ამ ერთმა უხეირო გამოცდამ ბევრი ტანჯვა მოგვაყენა ჩვენ და განსაცდელში ჩაგვაგდო, მაკრამ ხალხს კი დიდ სარგებლობას მოუტანს.

(თარგმანი) ან. **წერეთლისა.**



# ზღაპრული მოვლენა ბუნებაში.

სისთუევისა.

II

### გმირების დამარხვა.



ამხრეთ ავსტრალიის ერთ ხშირ უტეხ ტყეში ზლაზნით მიდიოდა თავის ბუნაკისაკენ ერთი მღრინავი მხეცი ვომბატი. ბევრი ფესვების ჭამით გაბერილიყო და ძლივძლიობით მიათრევდა თავის უშნო სხეულს. დილა გათენებულიყო და მიეჩქარებოდა მოსასვენებლათ

უცბათ ამან ფეხში იგრძნო ტკივილი, ამის გამო შედგა. ერთი გაიქნია ტოტი, გაილოკა და ისევ გზას გაუდგა. მაგრამ მალე იძულებული გახდა ისევ შემდგარიყო, ახლა ბეჭებში იგრძნო საშინელი ტკივილი. დაიხედა ძირს და ნახა რომ წითელი ჭიანჭველები ჰკბენდენ. გზაზე გამოჩნდა იმათი ბინაც. ეს იყო გორაკი დაფენილი გამხმარი მცენარეებით და ზედ წაყრილი მიწით.

რამდენათაც ვომბატი უახლოვდებოდა ჭიანჭველების ბინას, იმდენათ უფრო ეხვეოდენ ჭიანჭველები და ყოველ ღონისძიებას ხმარობ.ყენ, თავიანთ ბინიდან გაედევნათ ეს მხეცი. გაბრაზებულნი უხვდებოდენ წინ, მას ზურგზე აცოცდებოდენ, მწარეთ კბენდენ და ი.ავის შხამს შიგ ტყავში უსხამდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვომბატი იმდენათ დიდი იყო ჭიანჭველაზე, რომ იტყო-დით მთელი უზარმაზარი მთა მოდისო მთკენ. მაგრამ ამ პა-ტარა მწერების გამბედაობამ ყველაფერს გადააჭარბა. ისინი უშიშრათ დაეცემოდენ ხოლმე ბანჯღვლიან ქმნილებას. ამ სქელი და გულ-გრილი მხეცის გამოჯავრება ძნელი იყო, მა-გრამ ჭიანჭველებმა ვომბატი მოთმინებიდან გამოიყვანეს. ამან რომ დიდძალი ჭიანჭველები დაინახა, ერთი მძლავრათ ჩაჰკრა ტოტი და ჩქარის ნაბიჯით ტყეში მიიმალა.

ოცდაათ მამაც ჭიანჭველამ თავიანთ გორაკის დასაცვე-ლათ ამსხვერპლა თავი.

ამხანაგები სინჯავდენ მიწაზე გაშოტილ მეომრებს, თა-თებით და ულვაშებით ეხებოდენ, აქეთ-იქით აბრუნებდენ და რაკი დარწმუნდებოდენ რომ მკვდრები არიანო—მიატოვებ-დენ. ამათ მოეჩვენათ, რომ ერთი მეომარი მკვდარი არ იყო და დიდ ხანს ცდილობდენ მის მობრუნებას: ხან აქეთ გადაა-ბრუნეს, ხან იქით და როდესაც დარწმუნდენ მის სიკვდილს თავი მიანებეს.

ბოლოს რამდენიმე ჭიანჭველა წავიდა ჭიანჭველების გო-რაკზე და იქიდან გამოიწვია სხვა ჭიანჭველების ჯარი. ყვე-ლანი ჩამწკრივდენ რიგზე და საჩქაროთ გასწიეს იმ ადგილს, სადაც ომი მოხდა.

მივიდენ თუ არა მკვდრებთან, ჭიანჭველები შედგენ. ორი წინ წადგა. ამათ ასწიეს ერთი მკვდარი და წაიღეს, ორი ჭიან-ჭველა უკან გაჰყვა. ამათ კიდევ ორი მიჰყვა, რომლებიც მია-სვენებდენ მეორე მკვდარს, ასე სულ მწყობრათ ას ოცი წყვი-ლი გამოვიდა. ესენი ნელა-ნელა, დიდებულათ მიდიოდენ და ასი ათასი მეტი მაყურებლები გარშემო მისდევდენ. ვინც ამათ-განი დაიღალებოდა, მკვდარს მიწაზე დაასვენებდა, ამათ მა-გივრათ მეორები მივიდოდენ, ასწევდენ და წაასვენებდენ. და-ღალული ჭიანჭველები კი მოექცეოდენ უკან და ისევ მწყობ-რათ და წესით განაგრძობდენ მიმოსვლას.

არ უკრავდა სამგლოვიარო მუსიკა, არ ენთოთ კელაპ-ტრები, ხოლო ცაზე მოჩანდა სამხრეთის ცხელი მზე, რომლის სხივები გარშემო ნათელსა ჰფენდენ და ახლათ გამოღვიძებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და სინათლით ნასიამოვნი ჩიტები მღეროდენ დილის სიმღერას.

გმირების დასამარხათ გაემართენ ოკეანის ნაპირას. აქ დაუხვდათ ქვიშიანი ამართული ადგილი—ეს იყო ჭიანჭველების სასაფლავო. ჭინჭველები ავიდენ ამ გორაკზე და დაიწყეს პატარ-პატარა ორმოების ამოთხრა. ოცდა ათი სამარე მოთხარეს. როცა შიგ ჩაუშვეს გმირები, ისინი ისევ მწყობრათ წამოვიდენ თავ-თავიანთ ბინაზე. ამათ სამეფოში ყველაფერი დიდი გამჭრიახობით იყო მოწყობილი. აქ სუფევდა მუდმივი შრომა, თავის დადება საზოგადო საქმისთვის და ერთმანერთის ძმური სიყვარული.

ან. წერეთლისა.




ამ ნახატ ჯვარში უნდა ჩაისვას ასე ციფრები:



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ანდაზები:

წარმოდგენილი კოს. სეხნიაშვილის მიერ.

ვირს ყურები ჩამოეშვა, კატა კანჭებს აკაწრიდაო.

—

თავ წყალ დასხმულსა, თავს ლაფ ესხმოდაო.

—

ვირსა რას ჰკითხვენ საქმისას, მელას რას დაუჯერებენო.

—

დათვი ძუნძულსა თამაშს ეძახდა, მგელი თქვლეფასა—ჭამასაო.

—

დათვი მწოლარე მძინარეს ჰგვანდა, მოსიარულე შეუპოვარსაო.

---

## გამოცანები:

შიგ ვზივარ და შიგ ვიმღერი
გარედან მაქვს სარბენიო.

—

ტყეში ხარი შემოვიდა
გამო, გამო გიშერაო,
ტყავის ბუდე მიატოვე
ამოვიდა შიშველაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლეგენდა.

### ჭიქაშერიძის ტბა.

(გაგონილი ზ. ქიქინაძისაგან ზემო იმერეთში).

ზესტაფონიდან ხუთი ვერსის სიშორეზედ მდებარეობს სოფელი კვალითი. ეს სოფელი განთქმულია მშვენიერ ღვინოებით და ტანმრთელ ჰაერით. კიდევ უფრო ტანმრთელი და წმინდა იქნებოდა აქაური ჰაერი, რომ ამ სოფლის შუა ადგილას დამდგარი ტბა არ სწამლავდეს და არ ხაშმავდეს. ეს ტბა სიგრძით 30 საჟენი იქნება და სიგანით ათიდან თორმეტი და არის გაჭიმული შუა სოფელში. ამ ტბას ხალხი „უძირო ტბას“ ეძახიან და შემდეგი ლეგენდა არის დარჩენილი ხალხში მის გაჩენაზედ:

სწორედ იმ ადგილას, სადაც დღეს ვითომ და „უძირო ტბა“ არის სახლებულა ერთი გლეხი, გვარად ჭიქაშერიძე. ერთხელ ხარება დღეს ქმარი სხვაგან ყოფილა და ცოლს კი არ უდღესასწაულია. ეს დღე, გაუდგამს დგიმ-სავარცხელი და სამოსელის ქსოვა დაუწყვია, როდესაც ზის ქალი და მაქოს იქით-აქეთ აქანებს, ამ დროს შემოდის მასთან ერთი მოხუცებული კაცი, ძონძებში გამოხვეული, ჯოხზედ დაყრდნობილი და ჰკითხავს ამ დედაკაცს:

— დედაკაცო, რათ მუშაობ დღეს? განა არ იცი რა დღეა?

— როგორ არ ვიცი! მიუგო ქალმა:

„ხარება და ხარხარება,
ჩემ ქმარ-შვილსა გახარებათ.“

— მაშ ვინც გყავს გარედ დღეს ყველანი შეკრიბე შინ და მეც საღამოს თქვენთან მოვალო და ბედს გწერ. სთქვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეს მოხუცმა და გაქრა. ეს იყო თურმე იესო ქრისტე, მათხოვრის სახით მოვიდა გლეხის ოჯახში.

ხარება საღამოს, როდესაც ყველანი შინ იყვნენ, შემოვიდა იგივე მოხუცი, მივიდა კერიის ძირთან, ჩაკრა ჯოხი და იმ წამს ამოვარდა აუარებელი წყალი, დაახრჩო ქიქაშერიძე თავის ოჯახობით და მის ადგილას დღეს „უძირო ტბა“ დარჩა, რომლიდანაც როგორც ხალხი ამბობს და ერწმუნება კიდევაც-ყოველ ხარებას დილით, სწორეთ იმ დროს, რა დროსაც მათხოვარი მივიდა დედაკაცთან, ამოვარდება ხოლმეო ამ ტბიდან სამჯერ დგიმი და სავარცხელი ან და გობსაცერი და ისევ ჩაიმალებაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა


**მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.**

# დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით--5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

**კალენდარი 1909 წლისა**

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

**ხელის მომწერთა საყურადღებოდ**

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# ჯეჯილი,

დაარსებულია 1890 წელს

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისთვის და მოზრდილთათვის ფასი წლიური: ქალაქ გარეთ 5. მ. ქალაქში 4 მ. ცალკე ნომერი 40.

ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1909** წლის აგვისტოდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# — მომავალი —

იმავე პროგრამით, როგორც გამოდიოდა.

**გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები ევროპაში, სპარსეთში და სახელმწიფო დუმაში.**

გაზეთის ფასი:

| | 1 წლით. | 6 თვით. | 3. თვით. | 1. თვით. |
|---|---|---|---|---|
| **თფილისში** . . | 7 მან. | 4 მან. | 2 მ. 20 კ. | 80 კაპ. |
| **ქალაქ გარეთ.** . | 7 მან. | 4 მან. | 2 მ. 50 კ. | 90 კაპ. |
| **საზღვარ გარეთ.** | 10 მან. | 5 მან. | 3 მან. | 1 მან: |

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოთ თვის პირველ რიცხვიდან.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

**ხელისმოწერა მიიღება** რედაქციის კანტორაში, „წერა კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში—შ. ქუჩუკაშვილთან, ნაძალადევის, ავჭალის, ვერის და ავლაბრის ბიბლიოთეკებში.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ელისაბედის ქ., სახლი № 1.

---

Открыта подписка на 1909 годъ на газету

# „ЗАКАВКАЗЬЕ"

(ГОДЪ ВТОРОЙ)

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| **Съ доставкой въ Тифлисѣ:** | | **Съ пересылкой въ другіе города:** | |
|---|---|---|---|
| **за годъ** . . . . . | 6 р. — к. | **за годъ** . . . . . . | 8 р. — к. |
| **за полгода** . . . . | 3 р. 50 к. | **за полгода** . . . . | 4 р. 50 к. |

**Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльные №—5 коп. Заграницу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—50 коп.**

**Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера. Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.**

Редакторъ-Издатель *Г. І. Амираджиби.*